საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 26 მარტი, 2015 წელი.

№56 (7701)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცეა, ფცეილებით და ჭირებით ბეჭთის გაფანა ყველა უკარბისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ამერიკელებმა ვერაფრით გაიგეს ნაციონალების ამოჩემებული გამოთქმის – „რუსი ოლიგარქის“ არსი

5

ქართველი დეპუტატები ამერიკაში – დასმენები, ბრალდებები და დაპირისპირება ვაშინგტონის კულუარებში

რა სურთ გამოკითხვის ავტორებს?

აირევი, ივერიავ?!

The International Republican Institute IRI advancing democracy worldwide

რატომ სერგეენკო და მარგველაშვილი?

ირაკლი სესიაშვილი IRI-ის კვლევის შედეგებს სანდოდ არ მიიჩნევს

3

„ფრთხილად, მიშაში

9

ფეხი არ ჩადგათ“

„ქამრების შემოჭერა“ მცირე ბიზნესმაც დაიწყო

მეწარმეები ცდილობენ იაფფასიანი ოფისები იქირაონ ან სავაჭრო ცენტრებში გადავიდნენ

2

ნაციონალები და „რუსთავი-2“, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ცრუობენ!

7

გარდაბანში 35 ჰექტარი მიწა თანაინვესტირების ფონდს არა ერთ ლარად, არამედ 10 მლნ ლარის საინვესტიციო ვალდებულებით გადაეცა.

ნარმანიამ თბილისის მთავრობის სხდომაზე ნაციონალები არ შეუშვა

4

ახლენილი წყევლა,

ისტორია თავშესაქცევად არ იწერება

6

ტაბაწყურელებს ტბა გაუყიდეს



7

„ყველამ კარგად ვიცით, რას ნიშნავდა იმ დროს შს მინისტრ ვანო მერაბიშვილთან მეგობრობა“

ვინ დააოკებს დაუსჯელობით გათამამებული მონოპოლისტის „სოკარის“ ვნებებს?

11

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ირაკლი ღარიბაშვილი ნორვეგიის სამეფოს პარლამენტის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველო-ნორვეგიის ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივები, ევროინტეგრაციის თემები და რეგიონული უსაფრთხოების საკითხები განიხილეს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და ნორვეგიის სამეფოს პარლამენტის პრეზიდენტის ოლემიკ ტომესენის შეხვედრაზე.

მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს ორ ქვეყანას შორის არსებული აქტიური თანამშრომლობის გამო, როგორც პოლიტიკურ, ისე სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგეტიკისა და კულტურის სფეროებში.

საუბარი შეეხო საქართველოში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებს. აღინიშნა ამ მიმართულებით მიღწეული პროგრესი.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესებზე.

მხარეებმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა განიხილეს. გამოითქვა შეშფოთება რუსეთის ფედერაციასა და სოხუმისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმებს შორის გაფორმებულ ე.წ. „ხელშეკრულებების“ ხელმოწერის გამო.

რაც ნაცებმა დაანგრიეს, ახლა შენდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, 2006 წელს სამედიცინო უნივერსიტეტს რამდენიმე კლინიკა ჩამოართვეს, რაც იყო ძალიან დიდი დანაშაული წინა ხელისუფლების და პირადად მიხეილ სააკაშვილის, – ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნაზე განუცხადა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, ის აღფრთოვანებულია იმ ხარისხით, რომელიც ამ კლინიკაშია წარმოდგენილი.

„ეს პროექტი უკვე დაჯდა 20 მილიონი. საბოლოო ჯამში დაჯდება 25 მილიონი. 5 მილიონი ჩვენ ბიუჯეტიდან უკვე გამოვყავით. აქ დასაქმდება 600 ადამიანი. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, ვინაიდან სტუდენტებს, რეზიდენტებს მიეცემათ საშუალება, რომ თეორიულ ცოდნასთან ერთად მიიღონ პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილება. მინდა, აღვნიშნო, რომ ეს მოემსახურება დაახლოებით 6 000 ქართველ და 2 000 უცხოელ სტუდენტს“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, ყოფილი მერვე საავადმყოფო გუშინ გაიხსნა. გახსნის ცერემონიას პრემიერის გარდა ესწრებოდნენ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, დედაქალაქის მერი დავით ნარმანია და სხვები.

სამინისტრომ დევნილი ოჯახებისთვის ბინები გამოისყიდა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ ვაზისუბნის დასახლებაში, დავით კვაჭანტირაძის ქუჩაზე, 11 დევნილი ოჯახის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართები კერძო მესაკუთრისგან გამოისყიდა და დევნილებს საკუთრებაში გადასცა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი და მინისტრის მოადგილე შოთა რეხვიაშვილი ვაზისუბნის დასახლებაში მცხოვრებ დევნილებს შეხვდნენ, მათ საცხოვრებელ პირობებს ადგილზე გაეცნენ და ბინების საკუთრებაში გადაცემა მიულოცეს.

აღნიშნულ შენობაში, უწყების ცნობით, დევნილი ოჯახები წლების განმავლობაში ცხოვრობენ.

„მიუხედავად ამისა შენობას ამ დრომდე კერძო მესაკუთრე ჰყავდა, რის გამოც დევნილებისათვის ბინების დაკანონება შეუძლებელი იყო. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ 11 დევნილი ოჯახისათვის ბინები შპს „აგრეგატი„-სგან 250 000 ლარად გამოისყიდა“, – აცხადებენ უწყებაში.

მათი ინფორმაციით, დევნილთა და განსახლების სამინისტრომ 2014 წლის პირველი ნოემბრიდან დაიწყო პროექტი, რომლის ფარგლებშიც, 2015 წლის სექტემბრამდე მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართი 10 000 - მდე დევნილ ოჯახს დაუკანონდება.

სამინისტროს ინფორმაციით, ამ ეტაპზე, საცხოვრებელი ფართის მესაკუთრე უკვე 1095 დევნილი ოჯახი გახდა.

◎ ექსპორტი

„რუსეთის კრიზისმა ქართულ ღვინოს დაარტყა“

„ქართული ღვინის ექსპორტი რუსეთში მიმდინარე წლის პირველი ორი თვის განმავლობაში 85 პროცენტით შემცირდა“.

რუსეთის კრიზისმა ქართულ ღვინოს დაარტყა – ამ სათაურით აქვეყნებს „ბიბისის“ რუსული გამოცემა ნინა ახმეტელის სტატიას. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, შვიდწლიანი პაუზის შემდეგ, 2013 წელს რუსულ ბაზარზე დაბრუნებული ქართული ღვინის გაყიდვებმა ყველაზე თამამ პროგნოზებსაც კი გადააჭარბა.

„მიხარია, რომ საკუთარ პროგნოზში შევცდი. ჩემი ვარაუდით, პირველი ორი წლის განმავლობაში, რუსეთში წლიურად 10 მილიონ ბოთლზე მეტი ქართული ღვინო არ უნდა გაყიდულიყო, თუმცა, გაყიდვების ყოველწლიურმა მაჩვენებელმა 20 მილიონ ბოთლს გადააჭარბა. რუსეთში ქართული ღვინო გაძვირდა, მაგრამ მომხმარებელი მაინც კეთილგანწყობილია ქართული ღვინისადმი“, – ციტირებს ავტორი ალკოჰოლის ფედერალური და რეგიონალური ბაზრების კვლევითი ცენტრის „ციფრის“ დირექტორის ვადიმ დრობზის კომენტარს.

თუმცა, 2015 წლიდან ნათელი გახდა, რომ რუსული კრიზისი გვერდს არც ქართულ ღვინოს აუვლის. „ღვინის ეროვნული საგენტოს მონაცემებით, ქართული ღვინის ექსპორტი რუსეთში მიმდინარე წლის პირველი ორი თვის განმავლობაში 85 პროცენტით შემცირდა, რაც მილიონზე მეტი ბოთლია“, – ნათქვამია სტატიაში. სტატიის ავტორს ღვინის ეროვნული საგენტოს ხელმძღვანელის გიორგი სამანიშვილის კომენტარიც მოჰყავს, რომელიც აღნიშნავს, რომ 2014 წელს ექსპორტმა ბოლო 20 წლის განმავლობაში მაქსიმუმს მიაღწია.

„თუმცა, გასულ წელს დაიწყო პრობლემები რუსეთსა და უკრაინაში – რუბლისა და გრივნის არასტაბილურობა. ამან გავლენა მოახდინა უკრაინაში ღვინის ექსპორტზე, რომელიც 2014 წლის განმავლობაში დაახლოებით 15 პროცენტით შემცირდა. ექსპორტი იზრდებოდა რუსეთში, თუმცა, ვიცოდით, რომ 2015 წელს მსგავსი ზრდა აღარ გაგრძელდებოდა“, – აღნიშნავს გიორგი სამანიშვილი.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, შარშან საქართველომ 60 000 მილიონი ბოთლი ღვინის ექსპორტი განახორციელა, რაც 2013 წელთან შედარებით 26 პროცენტით მაღალი მაჩვენებელია. ექსპორტირებული ღვინის უმრავლესობა - 38 მილიონი ბოთლი რუსეთში გავიდა. „ბიბისისთვის“ მიცემულ ინტერვიუში კომპანია „თელავის ღვინის მარნის“ თანამფლობელი, ზურაბ რამაზაშვილი ამბობს, რომ რუსეთიდან შეკვეთები არის, თუმცა, უფრო ნაკლები, ვიდრე გასულ წელს. როგორც სტატიაშია აღნიშნული, საქართველოს ღვინის ეროვნულ სააგენტოში ფიქრობენ, რომ მომდევნო თვეების განმავლობაში რუსეთში ქართული ღვინის იმპორტზე მოთხოვნა კვლავ გაიზრდება. „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ექსპორტი განსაკუთრებით გააქტიურდება აპრილი-მაისიდან, ვინაიდან გრივნისა და რუბლის კურსი ასე თუ ისე დასტაბილურდება“, – განუცხადა „ბიბისის“ გიორგი სამანიშვილმა.

◎ საავალუტო კრიზისი

„ქამრების შემოჭერა“ მცირე ბიზნესმაც დაიწყო

მეწარმეები ცდილობენ, იაფფასიანი ოფისები იქირაონ ან სავაჭრო ცენტრებში გადავიდნენ

მცირე ბიზნესი ცდილობს, შედარებით იაფი და მცირე ფართი დაიქირავოს, რომ ხარჯები როგორღაც შეამციროს და იქ გადავიდეს, სადაც ნაკლები დანახარჯი და მეტი შემოსავალი ექნება. ფართის მფლობელები კი, იძულებული ხდებიან ფასები შეამცირონ. ნინო მ. ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ქირის გადახდა ვერ შეძლო და ამის გამო საქმიანობის სხვა უბანში გაგრძელება არჩია. „რამდენიმე წლის განმავლობაში ტანსაცმლის მაღაზია მქონდა თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ ქუჩაზე. მას შემდეგ, რაც დოლარი გაძვირდა, ძალიან გამიჭირდა – ოფისის ქირას დოლარში ვიხდიდი, რის გამოც გადასახადი გამიძვირდა, საქონელიც აღარ იყიდებოდა. კომერციული ფართის მფლობელს შეღავათის გაწევა ვთხოვე, მაგრამ სასტიკი უარი მივიღე. იძულებული გავხდი, სხვა ადგილას გადავსულიყავი და გაცილებით მცირე ფართი მექირავა შედარებით იაფად. ჩემსავით იქცევა ყველა, ვინც გადასახადებს და ქირას ვერ უმკლავდება“, – გვითხრა ნინო მ.-მა.

ანალოგიური პრობლემები აქვს შპს „მეთაფლიას“ დამფუძნებელს როლანდ ზირაქიშვილს, რომელმაც bpn.ge-სთან საუბრისას აღნიშნა, რომ დოლარის კურსის გაზრდის შემდეგ ქირის გადასახადს 800 ლარით მეტს იხდის, ვიდრე მანამდე უწევდა. „სულ 5 მაღაზია მაქვს და მათ შორის, ყველაზე ძვირს ცენტრალური ოფისის ქირაში ვიხდით, რომელიც შარტავას ქუჩაზე მდებარეობს. ჩვენ უკვე დავაყენეთ საკითხი, რომ თუ დამქირავებელი ფასს არ შეგვიმცირებს, სხვა გზა არ გვაქვს – ისეთი ოფისი უნდა ვეძებოთ, რომლის ქირასაც უფრო შევწვდებით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ვაჭრობა შემცირებულია, ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ. პროდუქციის ფასსაც ვერ ვაძვირებთ, რადგან თაფლი ისედაც ძვირია და რომ გავაძვიროთ, სულ გავკოტრდებით. ამიტომ ვცდილობთ, სხვა გზები გამოვძებნოთ და როგორმე ჩვენი ხარჯები შევამციროთ“, – გვითხრა როლანდ ზირაქიშვილმა.

უძრავი ქონების სააგენტო „კიბეს“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ნელი გოგუაძე აცხადებს, რომ დოლარის კურსის მატების პროცესი გასაქირავებელი ფართების რიცხვზე უკვე აისახა – მოიმატა საოფისე ფართების რიცხვმა და ქირის ფასის შემცირების ტენდენციაც კი გაჩნდა. „სხვათა შორის, კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა: მაღაზიების ნაწილი სავაჭრო ცენტრებში გადადის, სადაც ფასიც შედარებით მისაღებია და უფრო მეტი კომფორტია. ეს ტენდენცია ნელ-ნელა ინერგება. ჩემი დაკვირვებით, მეწარმეები ან სხვა ადგილას გადადიან, ან - სავაჭრო ცენტრებში – „ქარვასლაში“, „კიდობანში“, ან „გლდანი მოლში“. მალე ვარკეთილშიც გაიხსნება დიდი სავაჭრო ცენტრი და მაღაზიების ნაწილი ალბათ იქაც გადავა“, – აღნიშნავს ნელი გოგუაძე.

ნელი გოგუაძის თქმით, კომერციული ფართები ყველაზე დიდი რაოდენობით პრესტიჟულ უბნებში, კერძოდ ვაკე-საბურთალოზეა, მაგრამ მფლობელები ისეთ ფასს ადებენ, რომ გაქირავება უჭირთ. კომერციული ფართობის ფასი მაღალია სხვა ცენტრალურ ქუჩებზეც – მაგალითად, პეკინის ქუჩაზე ერთ-ერთი მეპატრონე 100 კვ. მეტრ ფართობს სარდაფით 6 ათას დოლარად აქირავებდა ანუ 1 კვ.მეტრს - 50-60 დოლარად; იმავე პეკინის ქუჩაზე, ოღონდ სხვა მონაკვეთში, საოფისე ფართი 3500 დოლარად ქირავდებოდა. კუტუზოვის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი კომერციული ფართი, რომელსაც ადრე მფლობელი 1800 დოლარზე მეტად აქირავებდა, ახლა 1500 დოლარი ღირს.

ამავე საკითხზე უფასო განცხადებების ვებგვერდ საქმე.ge-ს რედაქტორს ლელა არაბულსაც ვესაუბრეთ. „ქირავდება კომერციული ფართი“ – ამ შინაარსის განცხადებები ჩვენს ვებგვერდზე ყოველთვის იყო და ახლაც დიდი რაოდენობითაა. ჩვენი დაკვირვებით, მოიმატა ისეთი განცხადებების რიცხვმა, სადაც სილამაზის სალონისა და საცხობისთვის სურთ ფართის დაქირავება. გასაქირავებელი ფართები მართლაც უამრავია. ყველაზე მეტი ვაკე-საბურთალოს რაიონზე მოდის, რომელსაც დიდუბე-ჩუღურეთი მოჰყვება, შემდეგ კი თბილისის დანარჩენი უბნები. როგორც ყოველთვის, ვაკესა და საბურთალოზე გასაქირავებელი ფართების რაოდენობაც მეტია და ფასებიც უფრო მაღალია, ვიდრე გარეუბნებში“, – გვითხრა ლელა არაბულმა.

ხათუნა გურიელი

◎ აი, რაო აირაიმ?!

...ანუ აირევი, ივერიავ?!

აირაის მორიგი რეიტინგები!

ჯერ არ შემხვედრია ჭკუაზე მყოფი ქართველი, ამ „კვლევებისა“ რომ სჯეროდეს.

ეს იგივეა, გაბუნია და გვარამია საეჭვოდ რომ ჩაიკეტონ და, „ძირითადი საქმის“ პარალელურად, რეიტინგების ჩამოწერასაც რომ მიჰყონ ხელი.

სასაცილოც და სატირალიც ერთდროულად!

რეკავს ხალხი „ობიექტივზე“(აბა, სხვაგან სად უნდა დარეკონ?!) და ამბობს, რომ ამ რეიტინგებში ამერიკის ხელი ურევია და სიტუაციის ასარევად არის გამიზნული.

ნაც(იონალ)ები საბოლოოდ გაკოტრდნენ – ეს ოცდაერთმა მარტმა ცხადად აჩვენა.

რა ჰქნას ახლა ამერიკამ – ვისით ჩაანაცვლოს მათ დაკრულზე მოცეკვავენი?

ღარიბაშვილს შეიძლება, ბევრი რამ დასწამო, მაგრამ ამას ვერ დააბრალებ.

სწორედ ამიტომ ებრძვიან.

ეს – გარედან, ნაც(იონალ)ები კი იმას ვერ პატიობენ, რის გამოც ვითომ აკრიტიკებენ – აქტიური, შემტევი და საქმიანია, თანაც ერთგულება შეუძლია და უმადური არ არის.

პასიური რომ იყოს, ასე გააფთრებით არ შეებრძოლებოდნენ.

რატომ არ ებრძვიან მარგველაშვილს?

ვითომ პრეზიდენტის ინსტიტუტის დამცრობაზე წუხან, არადა, თვითონ დაამცრეს და დააკნინეს, რას წარმოიდგენდნენ, მათი მამა - მარჩენალი პრეზიდენტობასა და ქვეყანას ერთდროულად თუ გამოემშვიდობებოდა. მისი მომრევი ჰორიზონტზე არ ჩანდა, მაგრამ გამოჩნდა და ბნელი ზრახვანი ჩაუფუშათ.

ამიტომაც არიან ასე გაშმაგებულნი. უნდა გავუგოთ – ამას ადვილად როგორ აპატიებენ ივანიშვილს?!

მაგრამ მათი უტიფრობა მაინც ყოველგვარ ზღვარს სცდება.

უსმენდით „გუშღამ“ ნადირაშვილს?

იქით რომ უტევდა ეკა ბესელიას?!

ბესელია, რა თქმა უნდა, არ დაეჩაგვრინებოდა, მაგრამ ნადირაშვილის უტიფრობამ ერთ მომენტში წონასწორობა მაინც დააკარგვინა.

ეს უკვე მეტისმეტია!

ვის სჭირდება ასეთი დებატები?!

ეს ხომ მაყურებლის შეურაცხყოფაა!

ნუთუ არ შეიძლება, ამ ე. წ. დებატებს სრული ბოიკოტი გამოვუცხადოთ?

მაგრამ რა აკეთონ მაშინ ამ ე. წ. ჟურნალისტებმა, რომელთაც ჟურნალისტიკასთან არაფერი აქვთ საერთო?

ჟურნალისტობა, უპირველესად, წერის ცოდნაა.

ჩაუტარეთ გამოცდა გაბუნიას ან გრიგოლიას.

„ერთიანს“ მიიღებენ.

მათ მხოლოდ დებატები აცოცხლებთ.

ქართველი საზოგადოება კი დაზაფრულია.

...მგონი, გადავუხვიეთ.

რეიტინგებზე ვსაუბრობდით.

ნაც(იონალ)ებს რომ არევა სურთ, ეს ცხადზე უცხადესია.

იმედი ჰქონდათ, რომ „ქართულ ოცნებაზე“ ნაწყენი ქართველობა მათ აჰყვებოდა.

საბედნიეროდ, ოცდაერთმა მარტმა საპირისპირო აჩვენა.

ივერია ასე ადვილად არ აირევა.

ნაც(იონალ)ებს ეს ესიზმრებათ, მაგრამ ამაზე ვერ ვიტყვით, „აი რა მზის სიზმარია“-ო.

საინტერესოა, ჯოჯოხეთში მზე თუ ანათებს?

„ღვთაებრივ კომედიაში“ უნდა ჩავიხედო...

ნაც(იონალ)ური კომედიის („რუსთავი-2“) კომედიის ყურებას ნამდვილად სჯობს...

მინაწერი: ირაკლი ღარიბაშვილი ნამდვილად ენერგიული პრემიერია, მაგრამ, ვფიქრობთ, მაინც მოვიდა დრო, რომლის დადგომასაც ბიძინა ივანიშვილი არ გამორიცხავდა. როცა პრემიერ-მინისტრობიდან გადადგა, მან განაცხადა, თუ ამის საჭიროებას დავინახავ, დავბრუნდებიო. საჭიროებაც და აუცილებლობაც სრულიად აშკარაა. ეს უკეთესი იქნება თვითონ ირაკლი ღარიბაშვილისთვისაც და, რაც მთავარია, ქვეყნისთვის. ამ საკითხზე საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები ამზადებენ სპეციალურ მიმართვას, რომლის ტექსტსაც გამოსაქვეყნებლად უახლოეს დღეებში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას წარვუდგენთ.

იოსებ ჭუმბურიძე

◎ ალიან-ჩალიანი

IRI-ის კვლევის შედეგები დამაფიქრებელია

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის გია ვოლსკის შეფასებით, IRI-ის კვლევის შედეგები დამაფიქრებელია.

ჟურნალისტებთან საუბრისას დეპუტატმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ კვლევა ლარის გაუფასურების პერიოდშია ჩატარებული.

„ორგანიზაციებმა, რომლებიც IRI-ის და IRI-ის კვლევებში მონაწილეობენ, საზოგადოების დიდი სიმპათია და ნდობა ვერ დაიმსახურეს, თუმცა, რაც გამოქვეყნდა, გვექნება საშუალება იმისა, შევაფასოთ. აქ მარტო ნდობის თემა არ არის, საჭიროა ჩაღრმავებული ანალიზი. პირველადი მონაცემები, რომელსაც გავეცანი, დაფიქრების საფუძველს იძლევა. „ქართული ოცნება“ წინ არის, რაც მოსალოდნელი იყო. ნდობა მის მიმართ მაღალია და იმ პრობლემების შეფასება, რაც წარმოადგინეს, საინტერესოა. კვლევები დაემთხვა ლარის მძლავრი რყევის პერიოდს და, რასაკვირველია, ამან გავლენა მოახდინა. საუბარია ეკონომიკურ თემებზე, სოციალურ საკითხებზე – კვლევა ცუდ ფონზე ჩატარდა“, – აცხადებს გია ვოლსკი.

ჩვენს მხარდამჭერებს შეგვიძლია, წინასწარ მივულოცოთ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი, ნინო ბურჯანაძე IRI-ის კვლევებს ეხმაურება. „ადგილობრივი არჩევნების წინ ჩატარებული კვლევის შედეგად ჩვენს პარტიას 1 %-ზე ოდნავ მეტი ჰქონდა რეიტინგი. შედეგი ყველასათვის ცნობილია, რომ ათჯერ მეტი ავიღეთ. ახლა, როგორც მოგეხსენებათ 5%-იანი რეიტინგი გამოცხადდა, ასე რომ, ჩვენს მხარდამჭერებს შეგვიძლია, მივულოცოთ წინასწარ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება“, – ნათქვამია ნინო ბურჯანაძის კომენტარში, რომელიც „ფეისბუქში“ საკუთარ გვერდზე დაწერა.

ირაკლი სესიაშვილი IRI-ის კვლევის შედეგებს სანდოდ არ მიიჩნევს



„არასდროს არც IRI-ის და არც NDI-ის კვლევაზე კომენტარი არ გამიკეთებია. იმის მიუხედავად, რომ აღნიშნულ ორგანიზაციებს დიდ პატივს ვცემ, კვლევების შემსრულებელი ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ კვლევის პროცესს, გვაქვს პრეტენზიები მათი ვიწრო პოლიტიკური ინტერესების თუ შეხედულებების გამო. ეს კვლევა არ არის რეალობის ამსახველი“, – აცხადებს სესიაშვილი.

ინტერპრესი

რატომ სერგეენკო და მარგველაშვილი?

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის IRI-ის კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნდობით 62 %-ით საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო სარგებლობენ. რეიტინგებში მესამე ადგილს 57 %-ით თავდაცვის ყოფილი მინისტრი და „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია იკავებს. მეოთხე ადგილს 56 %-ით პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე იყოფენ.

IRI-ის კვლევის შედეგად, **დღეს რომ არჩევნები იყოს, ვის მისცემდი ხმას, 36%-ით „ქართული ოცნება“ ლიდერობს, „ნაციონალური მოძრაობა“ 14%, „თავისუფალი დემოკრატები“ 10%, „ლეიბორისტული პარტია“ 6% „დემოკრატიული მოძრაობა“ 5%, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ 5% . კვლევების მიხედვით, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ყველაზე დიდი ნდობა აქვს ჯარს – 87% (წინა მონაცემი 93%-მდე), განათლების სისტემა 61% (წინა მონაცემი 64%), პრეზიდენტის ინსტიტუტი 51% (წინა მონაცემი 64%), პარლამენტი 49% (წინა მონაცემი 68%), მინისტრთა კაბინეტი 48% (წინა მონაცემი 69%), მთავარი პროკურატურა 36% (წინა მონაცემი 50%), სასამართლო 41% (წინა მონაცემი 52%), პოლიცია 65% (წინა მონაცემი 82%).**

IRI-ის კვლევების მიხედვით, **საზოგადოების 55% ფიქრობს, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით მიდის. რაც შეეხება კვლევის შედეგებს შეკითხვაზე – როგორი მდგომარეობაა დასაქმების კუთხით, გამოკითხულთა 64% მიიჩნევს, რომ გაიზარდა უმუშევრობა, 5% ფიქრობს, რომ შემცირდა, 30%-ის აზრით, იგივე დარჩა. კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 79% მხარს უჭერს ქვეყნის ნატოში გაწევრიანებას, ხოლო 85% მხარს უჭერს ევროკავშირში გაწევრიანებას.**

კვლევას უკვე გამოეხმაურა „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია და მიიჩნევს, რომ „თავისუფალი დემოკრატები“, როგორც ალტერნატიული პოლიტიკური ძალა, უკვე იკვეთება. მისი თქმით, ძალიან საწყენია, რომ კვლევების მიხედვით, თავდაცვის, ჯარისა და სახელმწიფოს მიმართ საზოგადოების ნდობამ იკლო.

რა სურთ გამოკითხვის ავტორებს?

„ეს არის პირდაპირ კავშირში იმ პოლიტიკასთან, რომელსაც ვერ ახორციელებს და თავს ვერ ართმევს საქართველოს მთავრობა. ჩემი აზრით, აქ მთავარი, რაც უნდა ამოვიკითხოთ არის ის, რომ საზოგადოების განწყობა თავად არ იბადება. ის დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწორად, გამართულად ფუნქციონირებს როგორც მთავრობა, ისე პოლიტიკური სისტემა. ის უიმედობა, რომელიც საქართველოში ისადგურებს, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთაც იგრძნობა. მე ვგრძნობ იმას, რომ საქართველო კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობების ხელიდან გაშვების წინაშე დგას“, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

კვლევის შედეგებზე ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებენ მმართველ კოალიციაში. ექსპერტები კი ეჭვის თვალით უყურებენ კვლევის შედეგებს. პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე თვლის, რომ გამოკითხვის შედეგები ახლოს უნდა იყოს იმ კითხვასთან, რა კითხვასაც სვამ.

„ამ გამოკითხვის ავტორებს სურთ დაანახონ საზოგადოებას, რომ ნდობის მაღალი ხარისხით არ სარგებლობენ „ქართული ოცნების“ წამყვანი ფიგურები, რაც ისევ ნაციონალების წისქვილზე ასხამს წყალს. ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს კვლევა პოლიტიკურად არის მოტივირებული. გამოკითხულთა პასუხში ეჭვი არ შემაქვს, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ კითხვა არის ისე დასმული, რომ ასეთი პასუხები ყოფილიყო მიღებული. ამიტომაც არის, რომ ამ გამოკვლევის შედეგები დიდად სანდო არ არის“, – აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი კი უერთდება იმ 85%-ს, რომელთა მიზანია ევროკავშირში გაწევრიანება. მისივე შეფასებით, ამის შემდეგ ნუ გაგიკვირდებათ, თუ დადგება კითხვა – ვის აზრს იზიარებთ ილია ჭავჭავაძის თუ გოგი თოფაძის? რაც შეეხება პარტიებისა და პოლიტიკოსების რეიტინგებს, ცისკარიშვილი თვლის, რომ მიუხედავად ადგილობრივ არჩევნებში „დემოკრატიული მოძრაობის“ და „პატრიოტთა ალიანსის“ წარმატებისა, რატომღაც ჩამორჩნენ „ლეიბორისტულ პარტიას“, რაც არაა ადეკვატური იმ შედეგებისა, რაც ადგილობრივ არჩევნებში მიიღეს.

„ცხადია, რომ მესამე ადგილს მყარად იკავებენ დამოუკიდებელი სოლისტებისგან შემდგარი „თავისუფალი დემოკრატები“ . არ გამოვრიცხავ, რომ ეს გამოწვეული იყოს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების დაკავებით. ქართველი მოსახლეობა ყოველთვის უკანონოდ დასჯილის მხარესაა. დღეს კი ასეთად მოიაზრება „თავისუფალი დემოკრატები“, – აცხადებს სოსო ცისკარიშვილი.

თამთა ქარჩავა

◎ როცა ეროვნული ბანკი ხელისუფლებასთან ოპოზიციაშია

იმუშავებს თუ არა მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა?

ძვეყნის სავალუტო კრიზისიდან გამოსაყვანად მთავრობას სამნაწილიანი გეგმა აქვს: მოკლევადიანი, რომელიც 2015 წლის მარტ-ივნისის პერიოდს მოიცავს; საშუალოვადიანი, რომელიც გათვლილია წლის ბოლომდე და გრძელვადიანი — 2015-17 წლებისთვის. აქედან პირველი ეტაპის ამოქმედება უკვე დაწყებულია, მაგრამ საკითხავია, საერთოდ, გაამართლებს თუ არა სასწრაფო წესით შემუშავებული გეგმა?

მთავრობა მოკლე ვადაში დაჩქარებულ პრივატიზაციას შეუდგა. ასევე ტურიზმის წახალისებას, დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას, ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

მაგალითად, ფინანსთა სამინისტრო უწყებებისგან ხარჯების ეკონომიასთან დაკავშირებით მიღებულ მონაცემებზე ახლაც მუშაობს. ნოდარ ხადურის თქმით, თავად ფინანსთა სამინისტრო წელს საკმაოდ ბევრი მიმართულებით დაზოგავს თანხებს.

„16 მარტს დასრულდა სამინისტროებისგან ინფორმაციების მიღება, მიმდინარეობს აღნიშნული მონაცემების დამუშავება. ჩვენ გვაქვს ჩვენი ვარიანტი, ასევე სამინისტროების მიერ წარმოდგენილი ვარიანტები. ვაგრძელებთ კომუნიკაციას. როგორც კი გაკეთდება საბოლოო გათვლები, რა თქმა უნდა, საზოგადოებისთვის გახდება ცნობილი.

სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებს შემცირება არ შეეხება. დღესდღეობით მხოლოდ მარტში, გადასახადებიდან მობილიზებულია 300 მილიონ ლარზე მეტი. ასე რომ, ჩვენ ვაკვირდებით როგორი იქნება შემოსავლების დინამიკა და საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ ძირეული ანალიზის საფუძველზე მივიღებთ“, — აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა.

მთავრობა 2015 წლის ბიუჯეტის კორექტირებასაც აპირებს. ახალ ბიუჯეტში ეკონომიკური ზრდის პროგნოზი ნ-ის ნაცვლად, 2% იქნება და ამ მაჩვენებლის მიხედვით დაკორექტირდება ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრებიც.

მიმდინარეობს მუშაობა რეგიონების სამოქმედო გეგმაზე. შემუშავებულია რამდენიმეწლიანი პროგრამა, სადაც უკვე გაწერილია ყოველწლიურად თუ რა უნდა გაკეთდეს დარგებისა და სფეროების მიმართულებით. ეს იქნება სოფლის მეურნეობის სფერო, ტურიზმის მიმართულება, ენერგეტიკის, ასევე კულტურის თუ სოციალური სფეროები.

სპეციალისტები მთავრობის ნაგვიანებ გამოფხიზლებას ეჭვის თვალით უცქერიან.

ახალგაზრდა ბიზნესმენთა და ფინანსისტთა ასოციაციის წარმომადგენელი ზურაბ კუკულაძე ამბობს, რომ ავადმყოფს მაშინ უნდა შველა, როცა დაავადების სიმპტომები გამოჩნდა. ჩვენ კი ეკონომიკის მკურნალობას მას შემდეგ ვიწყებთ, რაც დაავადება მწვავე ფორმებში გადაიზარდა.

„აქედან გამომდინარე, საინტერესოა, რა არის სამთავრობო პოლიტიკის მიზანი — ის, რომ ლარი დოლარის მიმართ ძველ ნიშნულს დაუბრუნდეს, თუ ის, რომ ლარის შემდგომი გაუფასურება გაჩერდეს? „ქამრების შემოჭერა“ ეკონომიკაში ძირეულ ცვლილებებს არ გამოიწვევს. საბიუჯეტო სახსრების უფრო ხელმომჭირნედ ხარჯვა და ამ ფულის ინფრასტრუქტურულ პროექტებში გადატანა მნიშვნელოვან შედეგს ვერ მოგვცემს. საბიუჯეტო სახსრები ლარშია და რა მიმართულებითაც უნდა დაიხარჯოს, ლარი-დოლარის თანაფარდობაზე ვერანაირად ვერ იმოქმედებს.

მოკლევადიან პერსპექტივაში, საქართველოს ეკონომიკის რეანიმირების ბერკეტი აქვს ეროვნულ ბანკს, რომელიც ამისთვის არაფერს აკეთებს. პირიქით, გასულ კვირას 900 მილიონი ლარის მოცულობის სესხი გასცა იმ პირობებში, როცა ლარი განიცდის დევალვაციას. აქედან 200 მილიონი მუდმივმოქმედი სესხია, რაც ნიშნავს, რომ ეროვნულმა ბანკმა ეკონომიკაში ლარის მოცულობა კიდევ 200 მილიონით გაზარდა.

2 კვირის წინ ლარი შედარებით გამყარდა, როცა ლარი-დოლარის გაცვლითი კურსი 2,30 ლარიდან ჩამოვიდა 2,10 ლარზე, შემდეგ ისევ დაიწყო გაუფასურება და ეს იმ 200 მილიონი ლარის დამსახურება იყო. ეროვნული ბანკი თავისი ხელმძღვანელობით დღეს არის ოპოზიციაში ხელისუფლებასთან და მისი ყოველი ნაბიჯი ცხადყოფს ამას“, — აცხადებს „ბიპიენთან“ საუბრისას ზურაბ კუკულაძე.

ბექა დანელია

◎ ალიან-ჩალიანი

ნარმანიამ თბილისის მთავრობის სხდომაზე ნაციონალები არ შეუშვა

დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ თბილისის მთავრობის სხდომაზე ნაციონალური მოძრაობის წევრების დაუშვებლობის გადაწყვეტილება მიიღო.

როგორც დავით ნარმანიამ თბილისის სხდომის დასრულების შემდეგ აღნიშნა, ამასთან დაკავშირებით მან გადაწყვეტილება რამდენიმე დღის წინ მიიღო, როდესაც წინა მთავრობის სხდომაზე დასწრების შემდეგ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების მხრიდან აბსოლუტურად არაადეკვატური შეფასებები გაკეთდა და ცრუ ინფორმაცია გავრცელდა. როგორც მერმა განაცხადა, მთავრობის სხდომაზე ირაკლი აბესაძის და თემურ გრიგალაშვილის დაუშვებლობა მისი ძალიან პრინციპულად მიღებული გადაწყვეტილებაა და ამას რამდენიმე უმთავრესი საფუძველი აქვს.

პირველი არის ის, რომ როცა ისინი შიგნით სხედან და საკითხებს ისმენენ, შემდეგ გარეთ გამოდიან და სხვანაირად საუბრობენ, საზოგადოება შეცდომაში შეჰყავთ. მეორე — როცა წინა შეხვედრაზე სხდომას მათი წარმომადგენლები ესწრებოდნენ, მათ ვუთხარი, რომ ნაციონალური მოძრაობის მხრიდან საკითხის შეფერხება დედაქალაქისთვის ბაღის შენობის დაბრუნებასთან დაკავშირებით უნდა გადაწყვეტილიყო და ამაში უნდა დაგვხმარებოდნენ, რაც არ არის შესრულებული, ასევე მათ უნდათ რომ მთავრობის სხდომაზე შემოსვლით შემდგომ ცალკეული საკითხები აწიონ და მასკარადად აქციონ პროცესი. ჩვენ ვაკეთებთ საქმეს და არ დავუშვებთ, რომ საქმეში ვინმემ ხელი შეგვიშალოს.

საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა მომზადების ცენტრს დაარსებიდან 12 წელი შეუსრულდა

სერჟანტთა სკოლის პირად შემადგენლობას იუბილე საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, გენერალური შტაბის უფროსმა გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ და თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ლევან ღირსიაშვილმა მიულოცეს. მოწვეული სტუმრებისთვის სერჟანტთა მომზადების ცენტრის პირადმა შემადგენლობამ მსმენელებმა საჩვენებელი სამხედრო სწავლება გამართეს.

საჩვენებელ წვრთნაში ძირითადი სასწავლო კურსის 55 მსმენელმა მიიღო მონაწილეობა. საჩვენებელი სწავლების დროს ოცეულის დონის ქვედანაყოფმა პირობითი მოწინააღმდეგის ლოგისტიკურ კოლონაზე ჩასაფრება განახორციელა, გაანადგურა კოლონა და გაჩხრიკა ავტოტექნიკა. სწავლებაში გამოყენებული იყო ფუჭი ვაზნები და სხვა სიმულაციური საშუალებები. გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა მომზადების სკოლაში ძირითადად სასწავლო კურსის გარდა, ოცეულის შუალედური და სამეთაურო საშტაბო კურსები მიმდინარეობს.

ინტერპრესი

◎ ქარიშხალი ჭიქაში უსაქმურებმა დაატრიალეს

ვინ მოუსმენს პრეზიდენტს?

ჯერ კიდევ უცნობია, დაესწრება თუ არა საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტში პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ყოველწლიურ მოხსენებით გამოსვლას.

პრეზიდენტი შემაჯამებელი მოხსენებით 31 მარტს პირველ საათზე წარდგება. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის **გიორგი კვერენჩხილაძის** პარლამენტის მისამართით ხელმოწერილ მიმართვაში წერია, რომ „პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე“. სწორედ ამიტომ, აცხადებს კვერენჩხილაძე, მნიშვნელოვანია, რამდენად წარმომადგენლობითი იქნება ეს შეხვედრა:

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ ღონისძიებას დაესწრონ როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების, ისე სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირები თუ დიპლომატიური კორპუსი“.

პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, მთავრობა ვალდებული არ არის, დაესწროს პრეზიდენტის ყოველწლიურ გამოსვლას საკანონმდებლო ორგანოში, განმარტავს საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანი. მოუსმენენ თუ არა მარგველაშვილს მინისტრები, ეს მათ სურვილზეა დამოკიდებული, თუმცა, მთავრობის პარლამენტში მისვლა-არმისვლის საკითხი ბოლო ორი დღეა პოლიტიკურ წრეებში მსჯელობის საგანია. თავად მთავრობის წევრები აცხადებენ, რომ პრეზიდენტის მოსასმენად მისვლის შესახებ გადაწყვეტილება „ბევრ რამეზეა“ დამოკიდებული, კერძოდ, მათი დღის განრიგზე, უცხოეთში დაგეგმილ მივლინებებზე და ა.შ.

ყველაფერი მარტივადაა — პარლამენტი იწვევს პრეზიდენტს. ჩვენ დავხვდებით იმ ფორმატში, რაზეც შევთანხმდით, ეს ინფორმაცია კი ყველა უწყებას აქვს... ამბობს დავით საგანელიძე.

24 მარტს სწორედ ასეთ კომენტარებს აკეთებდნენ მედიასთან სხვადასხვა სამინისტროს ხელმძღვანელები. მაგალითად, სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ განაცხადა, რომ საკუთარ გრაფიკს გადახედავს და მთავრობა ერთობლივ გადაწყვეტილებას მიიღებს. ზუსტი პასუხი არც განათლებისა და მეცნიერების მინისტრს თამარ სანიკიძეს აქვს, ამასვე აცხადებს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო:

„ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული, მივალთ თუ არა პარლამენტში, გვეცლება თუ არა.. ჩამოვყალიბდებით და საბოლოო გადაწყვეტილებას ერთად მივიღებთ“.

„ჯერ ვერ გეტყვით, არ დამიზუსტებია, თუმცა, ვფიქრობ, საინტერესო იქნება მისი მოსმენა. პირადად მე საზღვარგარეთ მივლინება მაქვს დაგეგმილი და უნდა დავაზუსტო, თარიღები ხომ არ ემთხვევა“.

„დავესწრები თუ არა? ეს უახლოეს დღეებში განისაზღვრება შესაბამისი პროტოკოლის მიხედვით“.

საპარლამენტო უმრავლესობაში აცხადებენ, რომ პარლამენტის კარი ღიაა ყველასთვის, ვისაც კონსტიტუციით უფლება აქვს, დაესწროს პრეზიდენტის გამოსვლას, თუმცა, ეს ყველას ინდივიდუალურად გადასაწყვეტი საკითხია.

საპარლამენტო უმცირესობაში კი მიიჩნევენ, რომ თუ მთავრობა პრეზიდენტს არ მოუსმენს, ეს კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს არსებულ დაპირისპირებას. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი ვაშაძე,** აცხადებს, რომ მსგავსი პრეცედენტი, რომ პრეზიდენტის გამოსვლას არ დასწრებოდეს მთავრობა, აქამდე საქართველოში არ ყოფილა:

„პრეზიდენტის მოსვლას პარლამენტში არ ესწრება მთავრობა, რომლის მმართველობაც, ვიცით, რომ მალე დასრულდება. საქართველოში ასეთი რამ არ მომხდარა, რომ პრეზიდენტის გამოსვლას არ ესწრებოდეს პრემიერი. მინისტრები, გუბერნატორები და ყველა თანამდებობის პირი უნდა მოვიდეს და დაესწროს. აბა, რატომ ვიხილავთ და ვუსმენთ საერთოდ?“.

კონსტიტუციონალისტი **ვახტანგ ძაბირაძე** რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში განმარტავს, რომ კანონი მთავრობას არ ავალდებულებს, მივიდეს პარლამენტში პრეზიდენტის მოსასმენად, რადგან პრეზიდენტი, ახალი კონსტიტუციით, არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი. თუმცა, ამავე დროს, კონსტიტუციით, პრეზიდენტი ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირია. ამ ფაქტორის გათვალისწინებით კი, თითქოს კითხვაც არ უნდა ჩნდებოდეს, უნდა მოუსმინონ თუ არა მას აღმასრულებელი ხელისუფლების პირველმა პირებმა. თავად ძაბირაძე მიიჩნევს, რომ 31 მარტს მთავრობა უნდა მივიდეს პარლამენტში, თუმცა, იქვე შენიშნავს, რომ ხელისუფლების ნაბიჯები უნდა შეფასდეს არა პირადი ემოციების გათვალისწინებით, არამედ იმით, ემორჩილება თუ არა ის კანონს. ვახტანგ ძაბირაძის დასკვნაც აქედან გამომდინარეობს:

„თუ რამე არ მოგვწონს, მაშინ კანონი უნდა შევცვალოთ — ზოგადად, აქამდე უნდა მივიდეთ, რომ ამ საკითხზე დავა დასრულდეს. მე, მაგალითად, სწორად ჩავთვლიდი იმას, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება მისულიყო ამ ღონისძიებაზე, მაგრამ როგორც კი პრეზიდენტი დაასრულებდა თავის გამოსვლას, დებატებში მონაწილეობა აღარ მიეღო. ჩემი აზრით, ეს იქნებოდა ყველაზე კარგი გამოსავალი“.

ეკა ქევანიშვილი,
რადიო „თავისუფლება“

ამერიკელებმა ვერაფრით გაიგეს ნაციონალების ამოჩემებული გამოთქმის – „რუსი ოლიგარქის“ არსი

ქართველი დეპუტატები ამერიკაში – დასმენები, ბრალდებები და დაპირისპირება ვაშინგტონის კულუარებში

ამერიკაში საქართველოს პარლამენტის ხუთკაციანი დელეგაციის შეხვედრები კამათის ფონზე წარიმართა. ამერიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ამერიკელ მაღალჩინოსნებთან გამართულ შეხვედრებზე ნაციონალებმა ყურადღება პოლიტდევნაზე და შერჩევით სამართალზე გაამახვილეს, „ქართულმა ოცნებამ“ აქცენტი წინა ხელისუფლების მმართველობაზე გაიკეთა, თავად ამერიკელები კი, ქართველი პოლიტიკოსების კამათში არ ჩაერთვნენ და საარჩევნო რეფორმითა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაციის საკითხით დაინტერესდნენ.

ამერიკის ეროვნული ინსტიტუტის (NDI) ორგანიზებით, 8-14 მარტს დეპუტატები –ზურაბ ჯაფარიძე, პეტრე ცისკარიშვილი, გია ვოლსკი, ლევან ბერძენიშვილი, გიორგი ცაგარეიშვილი და პარტია „ქართული ოცნების“ წევრი დიმიტრი ცქიტიშვილი ამერიკას ესტუმრნენ და დამაგვირგვინებელი შეხვედრა ვაშინგტონში, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის აზიისა და კავკასიის საკითხთა დეპარტამენტის დირექტორ ჯონ მარკ პომერჰაიმთან გამართეს, სადაც მხარეებმა საკუთარი გამოსვლა ცხარე კამათის ფონზე წარმართეს.

თუ რა ვითარებაში ჩაიარა ქართველი დეპუტატების ვიზიტმა ამერიკაში, ამ საკითხით for.ge დაინტერესდა. **ამერიკაში ქართველი კანონმდებლების გამოსვლები კამათის ფონზე რომ მიმდინარეობდა, ამას ყველა დეპუტატი გვიდასტურებს, თუმცა, ისინი ამბობენ, რომ ყველაფერი კონსტრუქციულად წარიმართა.**

გიორგი ცაგარეიშვილი აცხადებს, რომ დეპუტატებს შორის კამათი ანაპოლისის მუნიციპალიტეტიდან დაიწყო და ვაშინგტონის კულუარებში გაგრძელდა, ცისკარიშვილი ამბობს, რომ ნაციონალებმა „ოცნების“ წარმომადგენლებს აჩვენეს, მათი მხრიდან უცხოეთში ამბების „ჩატანა“ როგორ ხდება, ბერძენიშვილი კი ირწმუნება, რომ „ოცნებას“ ამერიკაში წინა ხელისუფლების 9-წლიან, სისხლიან რეჟიმზე არ უსაუბრია და მათ ოპონენტებს მხოლოდ ის შეახსენეს, რომ მათი მმართველობის პირობებში 300 000 ადამიანი იყო ნასამართლევი.

ზურაბ ჯაფარიძე ამბობს, რომ მხარეებს შორის კამათი ყველა შეხვედრაზე იყო, სადაც კი საუბარი საქართველოში არსებულ პოლიტიკურ რეალობას შეეხებოდა.

კანონმდებლის ცნობით, შეხვედრები იყო როგორც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, ასევე საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და იმ ადამიანებთან, რომლებიც კონგრესში სხვადასხვა თემის ლობირებაზე მუშაობენ.

„ჩვენს შორის კამათი ყველა შეხვედრაზე იყო, სადაც საუბარი საქართველოში არსებულ პოლიტიკურ რეალობას შეეხებოდა. ცხადია, საუბარი იყო, რომ საქართველოში არის პოლიტიკური დევნა და შერჩევითი სამართალი. შეხვედრებზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საქართველოში არსებული რეალობა აღწერა, ვოლსკიმ კი წინააღმდეგობა გაგვიწია და განაცხადა, რომ ჩვენ ვართ პარტია, რომელმაც, თურმე, 300 ათასი ადამიანი ციხეში ჩავსვით და ა.შ. მათი პასუხები სრულიად არადეკვატური იყო იმ კითხვებზე, რასაც ამერიკელები სვამდნენ“, – აცხადებს დეპუტატი.

პეტრე ცისკარიშვილმა თქვა, რომ ნაციონალებმა ამერიკელებს საქართველოში არსებული ვითარების თაობაზე ინფორმაცია მოაწოდეს და მათი ოპონენტები კი ცდილობდნენ, რომ უარყოფითად ესაუბრათ. ცისკარიშვილის განცხადებით, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი „ბრალდებაა“, რომ ნაციონალები უცხოეთში მიდიან და იქ ამბები ჩააქვთ.

„ფაქტობრივად, ჩვენი კოლეგები ლაივში დაესწრნენ იმას, პარტნიორებისთვის ინფორმაციის მიწოდება თუ როგორ ხდება, რაც ჯანსაღი და ნორმალური პროცესია. 9 წლის მანძილზე, თვითონაც მეტით არაფრით არ იყვნენ დაკავებულნი და ახლა აღარ მოსწონთ, რომ გარეთ ობიექტური ინფორმაცია გავიდეს. ხელისუფლება ამერიკელების ყურამდე ინფორმაციის მისვლას ნუ ემალება, რადგან ეს ქვეყანას მხოლოდ სიკეთეს მოუტანს“, – აცხადებს დეპუტატი.

ცისკარიშვილი ჯონ მარკ პომერჰაიმთან გამართულ შეხვედრაზე მასსა და ვოლსკის შორის გამართულ კამათის მიზეზსაც იხსენებს და ამბობს, რომ მან საკითხი დააყენა, რომ რეფორმების გატარება კარგია, თუმცა, ხელისუფლება ამ რეფორმებს ფურცელზე წერს და ამომრჩეველზე დაშინების გზით, არჩევნების შედეგებს არჩევნების დღემდე გააყალბებს.

„არჩევნები გაყალბებულია, სანამ ეს არჩევნები შედგება. ჩემს განცხადებას ვოლსკი გამოეხმაურა და თქვა, რომ თქვენს დროსაც ასე ხდებოდაო. ეს „თქვენს დროსაც ასე ხდებოდა“ როდემდე უნდა იძახონ? არაფერი არ უნდა გამოსწორდეს? შსს-ს გაყოფაზე ვისაუბრე და ვთქვი, რომ ეს პროცესი ხელოვნური იქნება-თქო და ოპოზიციის დევნა არ შეჩერდება-თქო. ამერიკელებმა ჩვენი კამათი ძალიან ჯანსაღად აღიქვეს და მათ არ უთქვამთ, ნუ კამათობთო. მსგავს პროცესებს ისინიც მიჩვეულნი არიან, რადგან ამერიკის პოლიტიკაც პოლარიზებულია“, – განაცხადა ცისკარიშვილმა, რომლისგან განსხვავებით თავად ვოლსკი ამბობს, რომ ამერიკაში გამართულ შეხვედრებზე მწვავე კამათი არ გამართულა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები შედარებით ზრდილობიანად მოიქცენ.

ვოლსკის მტკიცებით, შეხვედრებზე რეფორმებზე საუბარი იყო, მაგრამ მათ რაიმე პოზიცია არ განუხილავთ.

ვოლსკის თქმით, იმის თქმა გადაჭარბებულია, რომ ამერიკელები შსს-ს რეორგანიზაციითა და საარჩევნო კოდექსის რეფორმირებით ძალიან დაინტერესებულები იყვნენ.

„მათ აქ კომპეტენტური საელჩო აქვთ და ბევრი ინფორმაცია გააჩნიათ. რეფორმებზე საუბარი იყო, მაგრამ მათ რაიმე პოზიცია არ განუხილავთ. სხვა შეხვედრებისას საუბარი იყო იმაზე, თუ როგორ მუშაობს მაჟორიტარი, მათი ადგილობრივი ბიუროები და რამდენად მნიშვნელოვანია რეგიონალური სისტემიდან არჩეული ადამიანების არსებობა. საარჩევნო სისტემის განხორციელება თუ როდის დაიწყება, ამაზე საუბარი არ ყოფილა და საკითხზე ზოგადი საუბარი გაიმართა“, – აცხადებს ვოლსკი, რომლის მსგავსად, შეხვედრებს ესწრებოდა ლევან ბერძენიშვილი.

როგორც **ბერძენიშვილმა** განაცხადა, შეხვედრებზე საქართველოში არსებული ვითარების შეფასება ხდებოდა, უმრავლესობა-უმცირესობას შორის კამათი კი კორექტულად მიმდინარეობდა.

კანონმდებლის ცნობით, შეხვედრებზე ნაციონალები ბიძინა ივანიშვილზე როგორც „რუს ოლიგარქზე“ ისე საუბრობდნენ, თუმცა, ამის არსი ამერიკელებს არ ესმოდათ.

„მომეჩვენა, რომ ნაციონალების სავალდებულო პროგრამასავით ჰქონდათ „რუს ოლიგარქზე“ საუბარი, რათა მერე ვიღაცასთან ანგარიში ჩაებარებინათ. ასეთი კორექტული კამათი საქართველოში რომ ჩატარდეს, ტელევიზორს არავინ შეხედავს და იტყვიან, ესენი შეკრულები არიანო. ჩვენი დამოკიდებულება არავის გაუკვირდა, უფრო მეტიც ის მაღალი კულტურა გაუკვირდათ, რითაც ერთმანეთთან საუბარი შევძელით. ჩვენ სისხლიან 9 წელზე არ გვისაუბრია, რადგან ამერიკელებს ჩვენი კამათის მოსმენა არ უნდოდათ. მათი ამოცანა არც ჩვენი კამათი და არც ჩვენი გაზავება იყო“, – აცხადებს კანონმდებელი, რომელიც არ ფიქრობს, რომ კამათის გამო ქართველი დეპუტატები ამერიკელებთან ცუდად წარმოჩნდნენ.

ბერძენიშვილის მოსაზრებით, პოლიტიკურ ძალებს შორის თანხმობა ნებისმიერ ქვეყანას ცუდად წარმოაჩენს.

რაც შეეხება ამერიკაში გამართულ შეხვედრებში მონაწილე კიდევ ერთ პოლიტიკურ ძალას – „თავისუფალი დემოკრატებს“, for.ge-სთან საუბარში გიორგი ცაგარეიშვილი აცხადებს, რომ მხარეებს შორის კამათი პერმანენტულად მიმდინარეობდა, რომელიც ანაპოლისის მუნიციპალიტეტიდან დაიწყო და ვაშინგტონის კულუარებამდე გაგრძელდა.

ცაგარეიშვილის ცნობით, ამერიკელები განსაკუთრებით დაინტერესდნენ, საარჩევნო რეფორმა შემოდგომამდე რატომ არ გატარდება.

„მათ გვითხრეს, რომ ისინი პროცესს გულდასმით დააკვირდებიან, მუდმივი კონსულტაცია ექნებათ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან, ოპოზიციასთან, მედიასთან და არასამთავროებთან. მათ ასევე თქვეს, რომ საპოლიციო და საარჩევნო რეფორმა საშუალებას მოგვცემს არჩევნები მშვიდ გარემოში ჩავატაროთ. მათ პირდაპირ ვუთხარი, რომ თუკი ამას ახალი ხელისუფლება არ გააკეთებს, არ არის გამორიცხული, ქვეყანაში სიტუაცია დაიძაბოს, ეს როგორც ბევრს უნდა ქვეყნის შიგნით და გარეთ. მათ ვუთხარით, რომ „თავისუფალი დემოკრატები“ ფსევდო საარჩევნო რეფორმაში მონაწილეობას არ მივიღებთ“, – აცხადებს ცაგარეიშვილი.

ცაგარეიშვილი გვარწმუნებს, რომ მხარეებს შორის კამათს ისეთი ფორმა არ მიუღია, რომელიც ქვეყნის იმიჯს დაზიანებდა: **საათნახევრის მანძილზე, ნაციონალებს, ჩვენს და „ოცნებას“ შორის გაცხარებული დებატი იყო, ამერიკელებმა გვიყურეს და გვითხრეს, რომ ქართველები ფონს ვართ გასულები, როცა ასეთი დებატია. მათ თქვეს, რომ არ შეიძლება ეს ქვეყანა დაიღუპოს, რადგან პოლიტიკური პროცესი ცოცხალია“,** – განაცხადა ცაგარეიშვილმა.

თეონა მანაგაძე

კაკალ გულში

ნეტიზენური ოჩაზები

● **დეფი უფრო მაგარი ადვოკატია, თუ ზაქარეიშვილი უფრო მაგარი პოეტია?**

● **ფადი, ორიგინალი რომ მეგონა, ასლი გამოდგა. ფადი ასლიღა გვაკლდა რა. პრემიერ-მინისტრს უმოქმედობაში ადანაშაულებს. წადი რა, შენს შეიხებს მიხედე, ჩვენსას ჩვენ მივხედავთ!**

● **მეტი დამაჯერებლობისთვის, ირაკლი ნარმანიამ ჟურნალისტებს პასპორტი აჩვენა...**

ტ/ვ „იმედი“ 14 სთ. 13 წთ.

„პასპორტს“ ყოველთვის „მეტი დამაჯერებლობისთვის“ აჩვენებ(დნ)ენ ხოლმე.

● **მურმან დუმბაძემ რომ იარაღი იყიდა, „კარლიტოს გზა“ გამახსენდა, კარლიტო რომ ეუბნება თავის ადვოკატს (შონ პენი), რომელიც იარაღს ამოიღებს გაწევა-გამოწევის დროს, მაგ იარაღს ვინმე წაგართმევს და უკან გაგიკეთებსო...**

● **ამ დილით რაჭველებიც ჩამოვიდნენ აქციაზე.**

● **მე რომ მკითხოთ ბრაზილიიდან სულ ბრაზილიური სანაპიროების „პესოკს“ ჩამოვიტანდი ჯიბეებით და ჩვენს სტადიონებზე მიმოვაბნევდი, ეგებ ჩვენს ფეხბურთსაც რამე ეშველოს.**

● **ეს გასაცოდავებული ნაცები ისე ერთიანად და იმდენჯერ იმეორებენ ერთი და იმავე ფრაზას მთავრობის გადადგომაზე, რომ ეტყობა ძველი ანდაზის იმედადღა არიან დარჩენილი – შეძახილმა ხე გაახმოო.**

● **სანამ მედია არ შეიცვლება, ნაცები მუდამ იარსებებენ... აი სტატია, რომელიც შეიძლებოდა სულ სამი წინადადება ყოფილიყო, რომ აეროპორტში დააკავს კანონიერი ქურდი, მაგრამ ნურას უკაცრავად... დანარჩენი სტატია შეეხება გივი თარგამაძეს – რა თქვა დილით გივი თარგამაძემ, რა თქვა მან საღამოს... რა შუაშია ვაბშე გივი თარგამაძე?! ეგრეა ყველა მედიასაშუალებაში. ნებისმიერ თემას მიბმული ყავთ ნაცები. ამათ სიტყვის თავისუფლება კი არა, ერთი კაი ზაჩისტკა უნდა და მერე მოვლენ აზრზე.**

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

ალიან-ჩალიანი

პატივი მიაგეს აფხაზეთის ეროვნული მთავრობის პირველი თავმჯდომარის ხსოვნას

საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის, აფხაზეთის ეროვნული მთავრობის პირველი თავმჯდომარის არზაყან (დმიტრი) ემუხვარის 135-ე წლისთავთან დაკავშირებით პარიზში, წმინდა ნინოს ეკლესიაში მოსახსენიებლად პანაშვიდი აღევლინა.

საზოგადოებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ, საფრანგეთში საქართველოს ელჩის მოადგილემ გოჩა ჯავახიშვილმა და არზაყან ემუხვარის შთამომავალმა ნატო მარშანიამ სიტყვით მიმართეს.

ლევილის ქართველთა სასაფლაოზე არზაყან ემუხვარის მემორიალური დაფა გაიხსნა.

აფხაზეთის ხელისუფლების დელეგაციამ ემიგრაციაში გარდაცვლილი საქართველოს მთავრობის წევრების და საზოგადო მოღვაწეების: ნოე ჟორდანიას, სპირიდონ კედიას, აკაკი ჩხენკელის, მიხეილ შარვაშიძეს, ვლადიმერ ემუხვარის, ვიქტორ და თამარ შაკაიების, ნოე რამიშვილისა და გრიგოლ რობაქიძის საფლავებიც მოინახულეს.

ინტერპრესი

ახდენილი წყევლა

უძველესი წყევლაა ერთი, ებრაულ წყევლას რომ უწოდებენ ჩვენში: შენი არ გაცოდინა და სხვისი არ გაგაგონაო!

მართლაც დიდ უბედურებაში გადაზრდილი მძიმე დაავადება სჭირს კაცს, თუ იმ საქმისა, რომელსაც ხელს ჰკიდებს, არც თვითონ გაეგება რამე და არც მცოდნეთა შეგონებას უგდებს ყურს. დიდი სიბრძნე არ სჭირდება იმის გამოცნობას, თუ როგორი იქნება ამ „მოსაქმის“ გარჯის შედეგი.

მართლა დაწყევლილს ჰგავს ამგვარ კაცთა საქმიანობა, სწორედ!

ჩვენი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებებს რომ ვეცნობი, გულდაწყვეტილი ვფიქრობ ხოლმე, რაღა ამათ აუხდათ-მეთქი ის ებრაული წყევლა, ზემოთ რომ ვახსენე, ანდა ასეთი დაუნდობელი დამაწყევარი ვინ იყო-მეთქი, ნეტავი.

ამჯერად ამ „დაწყევლილთა“ ერთ ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებას მივაპყრობ საზოგადოების ყურადღებას. დიახ, საზოგადოებისას, აბა, ის ებრაულად „დაწყევლილები“ ხომ არავის უსმენენ, მით უფრო, აზრიანი რჩევა თუ შესთავაზა ვინმემ.

ამ რამდენიმე წლის წინათ, საქართველოს იმდროინდელმა პრეზიდენტმა, ერთი ასეთი „სიბრძნე“ წამოაყრანტალა თავის მშობლიური სკოლის პედაგოგებთან შეხვედრისას: რადგან თორმეტწლიანი სწავლება საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევს, მომავალი წლიდან ხუთი წლის ბავშვები მივიღოთ სკოლაში და მაშინ ერთი წლით ადრე დაამთავრებენო. მართლაც, 18-19 წლის ახალგაზრდას სკოლის მერხთან რა უნდაო.

იმდროინდელი პრეზიდენტისაგან ჭკვიანურ ნათქვამს არც არავინ მოელოდა, მაგრამ მის სურვილს ისე ოპერატიულად თუ შეასრულებდა მაშინდელი განათლების (და რა თქმა უნდა, მეცნიერებისაც) მინისტრი, არ გვეგონა. არა და, შეასრულა: მეორე დღესვე გააშანშალა ბრძანება, აწი სკოლაში **ხუთი წლის ბავშვებს მივიღებთო**.

მომდევნო სასწავლო წელს მიიღეს კიდეც ხუთწლიანები სკოლაში. ბევრი ვიყვირეთ, ხუთწლიანების სკოლაში ასე ხელაღებით და „ოპტომ“ (ბითუმად!) მიღება არ შეიძლებაო, მაგრამ ვინ იყო გამგონი. იმ დროს ებრაული წყევლით შებორკილი მხოლოდ განათლების სამინისტრო კი არ იყო, არამედ მთელი ხელისუფლება, თავის პრეზიდენტ-პრემიერიანად, პარლამენტის თავმჯდომარის ჩათვლით.

ახლა, ვიცი ვინმე ოპონენტი, განსაკუთრებით ერთი იმათგანი, 21 მარტის აქციაზე რომ ბრძანდებოდა, მიკივლებს: ასეთი ებრაულად დაწყევლილები თუ იყვნენ ჩვენი ყოფილი პრეზიდენტი და მთელი მისი ხელისუფლება, აგერ, ჩვენს „სტრატეგიულად პარტნიორ“ სახელმწიფოში დამრიგებლებად, ექსპერტებად და დიდ-დიდ ჩინოვნიკებად კი არ ეყოლებოდათო. კი, მართალია, ჰყავთ, მაგრამ იმ უბედურებს ვინ ჰკითხავს ვინმეს დანიშვნასა თუ მოხსნას. მათი მტრისა და მოყვრის დამნიშნავი ორი ოკეანის გაღმა ბრძანდება და თუმცა, იმ ჩვენს „სტრატეგიულად პარტნიორ“ გაჭირვებულს თავისი „დაწყევლილებიც“ თავზესაყრელად აქვავია, ოკეანისგაღმელს მაინც თავისი ძაღლიშვილების დანიშვნა ურჩევნია. ძაღლურ ერთგულებაში გამოცდილი ჰყავს და იმიტომ.

ეჰ, ჩვენო გაჭირვებულო „სტრატეგიულო პარტნიორო“, ეგ ძაღლიშვილები თუ დროზე არ მოიცილე, თავიანთი რჩევებითა და კომპეტენციურობით იმას დაგმართებენ, რაც თავიანთ ქვეყანას დამართეს!

ახლა, ეს გადახვევა მაპატიეთ და ისევ ხუთექვსწლიანთა საქმეს დავუბრუნდები.

ერთი სიტყვით, დაამკვიდრეს სკოლაში ხუთწლიანების მიღების წესი. განათლების თეორიისა და პრაქტიკის უცოდინარ ხალხს (ასეთები კი საძებარი როდია ჩვენში ან სხვაგან!) გაუხარდა კიდეც: ადრე შევლენ ჩვენი ბავშვები სკოლაში და ადრე დაამთავრებენო...

ჩემს მეუღლეს ბებია ჰყავდა, ნინა. სულ იმის ცდაში იყო, შვილიშვილები საღამოს სახლში ჰყოლოდა. ყველა მისი შვილიშვილი გოგონა იყო და, ალბათ, ამიტომ! სკოლის მოსწავლე შვილიშვილთან პრობლემა არ ჰქონდა, მაგრამ სტუდენტებთან ერთთავად დავაში იყო, რადგან ერთი მათგანი დილით მიდიოდა უნივერსიტეტში და ნაშუადღევს შინ იყო, მეორე კი სწორედ ნაშუადღევს კარგად გადაცილებული რომ იყო, მაშინ იწყებდა წასასვლელად მზადებას. ა, მაშინ აქოთქოთდებოდა ნინა ბებია: „გოგო, დალი, რამდენჯერ უნდა გითხრა, ადრე წადი მაი უნივერსიტეტში და ადრე მოხვალ. ა, ლია, დილით წევიდა და სახლშია უკვე“. რამდენს უხსნიდა დალი, მე ბებო საღამოს ფაკულტეტზე ვსწავლობო, მაგრამ ნინას ეს არ ესმოდა.

აი, ასე, ნინა ბებიას ჭკუაზე იყო იმდროინდელი ხელისუფლებაც და მას აყოლილი საზოგადოების ერთი ნაწილიც.

ხუთწლიანთა სკოლაში მიღების გადაწყვეტილების შემდეგ ორი წლისთავზე, დიდი საარჩევნო ბრძოლის შედეგად ახალი ხელისუფლება მოვიყვანეთ ქვეყნის სათავეში. იმედი მქონდა და ვიფიქრე, განათლების ახალი მინისტრი და მისი გუნდი პირველ ყოვლისა ხუთწლიანთა სკოლაში მიღების ანტიმეცნიერულ, მავნე წესს გააუქმებს-მეთქი, მაგრამ, აბა! ჩვენი არაერთი მორიდებული თუ მოურიდებელი შეხსენების მიუხედავად, ერთგულად მიჰყვებოდა ნაცების დამკვიდრებულ წესს. და აი, ორი წლისთავზე გაზეთების ფურცლებზე გამოჩნდა ცნობა განათლების (და რა თქმა უნდა, მეცნიერებისაც!) სამინისტროს „პრინციპული პოზიციის“ შესახებ. განათლების სამინისტრო იუწყებოდა: მოვიწვიეთო ექსპერტები ევროკავშირის ქვეყნებიდან, ევრორაღაც სტრუქტურებიდან, ვითათბირეთო მათთან ერთად, რასაც ქართველი სპეციალისტებიც (ვინო, არ უთქვამთ!) ესწრებოდნენო და დავადგინეთო, აწი სკოლაში მხოლოდ ექვსწლიანებს მივიღებთო.

„დედა, რა იყო ეს?“ – ნიკანდრო ქილია გამახსენდა ანაზდად. თქვე კაი დედმამიშვილებო, – განათლების (რა თქმა უნდა, მეცნიერებისაც) სამინისტროს მივმართავ, – რატომ შეაწუხეთ ეს ამდენი პატიოსანი კაცი და მოაცდინეთ საქმეს? ევროკავშირში საქმეს რა გამოლევს! თქვენ თუ არ იცოდით, რომ ექვსწლიანთა სკოლაში მიღება ჩვენში ორმოცდაშვიდი წლის წინათ დაიწყეს, გეკითხათ ვინმესთვის, ის ვინმე გეტყოდათ, რომ ექვსწლიანთა სკოლაში მიღება ვინმეს ბრძანების საფუძველზე კი არ განხორციელებულა, არამედ მას სამწლიანი საცდელ-ექსპერიმენტული მუშაობა უძღოდა წინ, რაშიც ჩართული იყვნენ იმდროინდელი მსოფლიოში ცნობილი პედაგოგები და ფსიქოლოგები. ექსპერიმენტები რატომ სჭირდებოდათ, იცით? იმიტომ, რომ დაედგინათ ექვსწლიან ბავშვებს ჰქონდათ თუ არა სწავლისათვის ფსიქო-ფიზიკური (ინტელექტუალურიც, რა თქმა უნდა!) მზაობა. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ექვსწლიანებს, საერთოდ, აქვთ სწავლისათვის მზაობა. „საერთოდ“-მეთქი იმიტომ ვთქვი, რომ შესაძლებელია ექვსწლიანი არ იყოს ინტელექტუალურად მზად სწავლის დაწყებისათვის, ისევე, როგორც შეიძლება სწავლისათვის მზაობა ჰქონდეს ხუთი წლის ბავშვს. ამიტომ, თუ ასეთი ეჭვი გაუჩნდება ვინმეს (მშობელს ან სკოლას), საკითხს საექსპერტო კომისია გადაწყვეტს.

მკითხველთან ბოდიშს ვიხდი, ამ ცნობილ ჭეშმარიტებაზე ამდენი რომ ვილაპარაკე, მაგრამ ეს მე მხოლოდ განათლების (რა თქმა უნდა, მეცნიერებისაც) სამინისტროს გასაგონად ვთქვი.

კარგი, არ გვკითხეს, არ გვკითხეს, მაგრამ ნახეთ, როგორი გადაწყვეტილება მიუღიათ ამ ებრაულად დაწყევლილებსა და მათ უცხოელ თუ შინაურ „ექსპერტებს“: სკოლაში მიიღებიან მხოლოდ ის ბავშვები, რომლებიც სწავლის დაწყების დღეს ექვსი წლისანი იქნებიანო. არც ერთი დღე არ უნდა აკლდეს ექვს წელსო.

გენაცვალეთ პრინციპულობა-კატეგორიულობაში, - ირონიულად რომ იტყვიან ხოლმე, ისე.

წელს, როგორც განათლების (რა თქმა უნდა... ეჰ!) სამინისტრო იუწყება, სწავლა დაიწყება 14 სექტემბერს, ორშაბათს. მაშასადამე, 14 სექტემბერს ან მანამდე დაბადებულ ბავშვებს სკოლაში მიიღებენ, აი, 15 სექტემბერს და შემდგომ დაბადებულებს კი – არა!

როგორი წარმოსადგენია, საბავშვო ბაღის უფროს ჯგუფში ერთად არიან 14 სექტემბერს დაბადებული ეკა და 15 სექტემბერს დაბადებული მაკა. ეკას მიიღებენ სკოლაში, მაკა კი დარჩება იმავე... ბაღში! ჰო-ჰო, ბაღში დარჩება! მაშ, აბა, სად წაიყვანოს მშობელმა? მით უფრო, თუ ღმერთი შეეწია და სამსახური აქვს.

არ გეგონოთ, 14 სექტემბერი სწავლის დაწყების ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი თარიღი იყოს. გაისად ორშაბათი შეიძლება 13 ან 15 სექტემბერი იყოს, 14 ნამდვილად არ იქნება. ისე, ამათი ჭკუით, სწავლა ნებისმიერ რიცხვში შეიძლება დაიწყოს, ოღონდ 1 სექტემბერს არა (პირველი სექტემბერი იკბინება!)

ახლა რას ვნატრობ, იცით? ნეტავი დამანახვა იმ სკოლის დირექტორის სახე მაშინ, როდესაც 15 სექტემბერს დაბადებული ბავშვის მშობელს უარს ეტყვის მისი შვილის მიღებაზე იმ მიზეზით, რომ თქვენს შვილს ერთი დღით დააგვიანდა დაბადებაო. აი, 14-ში რომ დაბადებულიყო... კარგი იქნებოდაო, არა?

სერიოზულად თუ ვიტყვით, ეს არის სრული აბსურდი! სხვათა შორის, ასეთი აბსურდული ვითარება იყო ექვსწლიანების სასკოლო სწავლების დაწყების პირველ წელს, ამ ორმოცდაშვიდი წლის წინაც. სკოლაში მიიღებიან ის ბავშვები, რომლებსაც ექვსი წელი 1 სექტემბრამდე შეუსრულდებათო, – ასე უნდოდათ ვიღაც-ვიღაცებს მაშინაც, მაგრამ ამას მყისიერად მოჰყვა უარყოფითი რეაქცია, პედაგოგიკის ინსტიტუტის შესაბამისი რეკომენდაცია და გადაწყვეტილება შეიცვალა: სკოლაში მიიღებოდნენ ის ბავშვები, რომლებსაც იმ წელს უსრულდებოდათ ექვსი წელი. ეს იყო სრულიად ბუნებრივი და ლოგიკური გადაწყვეტილება.

ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ისტორია თავშესაქცევად იწერება? ნუთუ დარგის ხელმძღვანელებს არ მოეთხოვებათ იმ დარგის განვითარების ისტორიის ელემენტარული ცოდნა მაინც, რომ ყოველ ჯერზე არ გაიმეორონ წარსულში დაშვებული შეცდომები? სხვის მიერ დაშვებული შეცდომის გამეორება შეცდომად კი არ ითვლება, არამედ სისულელედ! და განა სისულელის მკეთებლები, ანუ სულელები უნდა მართავდნენ რომელიმე დარგს, მით უფრო კი განათლების სისტემას?

თვითონ განათლების სამინისტრო თავისთავს ვერ მოუხსნის იმ ებრაულ წყევლას; შენი არ გაცოდინა და სხვისი არ გაგაგონაო. ეს მასზე ზემდგომებმა უნდა გაკეთონ და მაშინ სულ ადვილი მისახვედრი იქნება რაციონალური გამოსავალი იმ ხელოვნური „ლაბირინთიდან“, სკოლაში ექვსწლიანთა მიღებას რომ უკავშირდება.

ზურაბ ცუცქირიძე.

P. S. ეს წერილი დაწერილი მქონდა, როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის კანცელარიიდან გვაცნობეს: მეცნიერთა ჯგუფის წერილი, რომელშიც ისინი პრემიერ-მინისტრს სთხოვენ გაერკვეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აბსურდული გადაწყვეტილებების მიზეზებსა და მიზნებში, განსახილველად(!) გადაუგზავნიათ... განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. ეს ერთ ძველ, ბატონყმობისდროინდელ ანეკდოტს ჰგავს, რომლის შეხსენება გონიერ მკითხველს არ სჭირდება.

ზ. ც.

◎ ალიან-ჩალიანი

სამუშაოები ქობულეთის შემოვლით გზაზე

საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე ვაჟა ფანჩულიძე ქობულეთის შემოვლით გზაზე არსებულ ხიდებზე მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან აცნობეს, დეხვას 480-მეტრიან და 470-მეტრიან ხიდებზე ამ დროისათვის მონოლითური რკინა-ბეტონის სამუშაოები მიმდინარეობს. რაც შეეხება მდინარე ჩაქვისწყალზე მშენებარე ხიდს, რომლის სიგრძე 920 მეტრია, ამ ეტაპზე მოძრავი ყალიბის სამონტაჟო სამუშაოები დასრულების ეტაპზეა. აღნიშნული მეთოდით ხიდის მონოლითური რკინა-ბეტონის მალის მოწყობა საქართველოში პირველად ხორციელდება.

ქობულეთის შემოვლითი გზის მე-2 ლოტზე ასევე მიმდინარეობს 2 გვირაბის მშენებლობა. დასრულების ეტაპზეა მიწის, წყალგამტარი მილების და მიწისქვეშა გასასვლელების სამშენებლო სამუშაოები. პროექტის შესაბამისად, 18.9-კილომეტრიან მონაკვეთზე დაგეგმილია ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება, 16 ხიდის, მათ შორის, 7 გზაგამტარის, 2 გვირაბისა და 64 წყალგამტარი მილის მშენებლობა.

ყურადღებით, ხორცისა და ხორცპროდუქტების შეძენისას

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ თბილისში საქონლის ხორცის არალეგალური საამქრო გამოავლინა. როგორც სურსათის ეროვნულ სააგენტოში განაცხადეს, ორგანიზაცია „ანტიკორუფციულ კავშირთან“ თანამშრომლობის შედეგად, ვახუშტის ხიდის მიმდებარედ, ე.წ. საბურთალოს ბაზრის ტერიტორიაზე საქონლის ხორცის არალეგალური საამქრო გამოავლინეს. საამქრო, სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ეკუთვნის ინდმეწარმე მალხაზ ბუხნიკაშვილს. სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საამქროში საქონლის თავებს ამუშავებდნენ და ამ პროდუქციას გაყინული ნახევარფაბრიკატების და ძეხვეულის წარმოებაში იყენებდნენ.

სურსათის სააგენტო მოუწოდებს მოსახლეობას, გამოიჩინონ ყურადღება ხორცის და ხორცპროდუქტების შეძენის და მომზადების პროცესში, ხოლო შეძენისას ყურადღება მიაქციონ პროდუქციის ეტიკეტს და ვარგისიანობის ვადას. სურსათის ეროვნული სააგენტო მოუწოდებს მოსახლეობას, რომ ხორცი არ შეიძინონ არაორგანიზებულ რეალიზაციის პუნქტებში, როგორიც არის გარევაჭრობის ობიექტები.

ამასთანავე, სურსათის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ მზად არიან, ითანამშრომლონ როგორც არასამთავრობო სექტორთან, ასევე სამოქალაქო საზოგადოების თითოეულ წევრთან. სააგენტოში მოქმედებს ცხელი ხაზი: 2 91 91 68, რომელზეც სააგენტოს ინფორმაციით მიიღება ინფორმაცია სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

◎ აქტუალური ინტერვიუ

„მთის კანონის“ პროექტზე მუშაობა მთავრდება

ახლახან შევხვდით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეს თენგიზ შერგელაშვილს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს „მთის კანონის“ პროექტის შედგენაში.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორ აისახა პროექტში ის ძირითადი პრობლემები, რაც მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას ახასიათებს, ბატონმა თენგიზმა თქვა:

— საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო აქტიურად მუშაობს „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონ-პროექტზე. ეს გამოიწვია მაღალმთიან დასახლებებში არსებულმა ეკონომიკურმა და სოციალურმა პრობლემებმა. ამ პრობლემის გათვალისწინებით, სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა მაღალმთიანი დასახლებების განვითარება, დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარება.

სახელმწიფო ითვალისწინებს, რომ მაღალმთიანი დასახლებები ინარჩუნებენ ქვეყნის კულტურულ ღირებულებებს, აქვთ ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა, ამასთან, მათ წინაშე დგას გამოწვევები ტურიზმის განვითარების კუთხით, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას. თუმცა, ეკონომიკური წინსვლის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია თვითმყოფადობის შენარჩუნება გარკვეული შეღავათების დაწესებით.

შესაბამისად, აუცილებელი გახდა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობის, ცხოვრების დონის ამაღლების, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობით დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად. მიზნის მიღწევის საშუალება კი აღსრულებადი და ეფექტიანი კანონის მიღებაა, რომელიც წარიმართება მაღალმთიანი დასახლებების განვითარებისაკენ. ამისთვის მუშავდება ნორმები, მექანიზმები, მაგალითად, მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პირებისათვის სოციალური და საგადასახადო შეღავათების დაწესება. შეიძლება დაწესდეს შეღავათები საპენსიო ასაკს მიღწეული პირებისათვის; ექიმებისათვის, ვინაიდან სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია კვალიფიციური სამედიცინო წახალისება, მათი მოტივაციის ასამაღლებლად; შესაძლოა, მასწავლებლებისთვის შეღავათების დაწესება, ვინაიდან მასწავლებლები მიეკუთვნებიან იმ პირთა კატეგორიას, რომლებიც მომავალ თაობას აღზრდიან. მაღალმთიან დასახლებებში დემოგრაფიული პრობლემების მოსაგვარებლად შესაძლოა, დაწესდეს შეღავათები ბავშვებისთვის; მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პირების საყოფაცხოვრებო ხარჯის შესამსუბუქებლად შეიძლება დაწესდეს შეღავათები სხვადასხვა სფეროებში, მაგალითად, შეღავათები ელექტროენერგიაზე და ა. შ.

გადასახადების კუთხით მიმდინარეობს აქტიური კონსულტაციები, რათა მაღალმთიან დასახლებებში განხორციელდეს გარკვეული საგადასახადო შეღავათები. მაგალითად, შესაძლოა მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა სფეროების გასავითარებლად საგადასახადო შეღავათების დაწესება, როგორც მეწარმე ფიზიკური პირების, აგრეთვე საწარმოებისათვის. ასევე, შეიძლება მსჯელობის საგანი გახდეს საშემოსავლო გადასახადებისგან გარკვეული კატეგორიის პირთა გათავისუფლება, რომლებიც სხვადასხვა კერძო/საჯარო დაწესებულებაში მუშაობენ.

— გასაგებია, რომ კანონში გათვალისწინებულ შეღავათებს ნამდვილად მოჰყვება დადებითი შედეგები მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობისთვის. მაგრამ, ბატონო თენგიზ, თქვენ არაფერი გითქვამთ საქართველოს მაღალმთიან ზონაში უკვე დაცარიელებული სოფლების აღდგენის პერსპექტივებზე. იქნება თუ არა მათთვის გათვალისწინებული რაიმე სიახლე კანონპროექტში.

— ჩვენ კარგად გვესმის, რომ მხოლოდ სოციალური და საგადასახადო შეღავათები ვერ უზრუნველყოფენ მაღალმთიანი დასახლებების აღდგენა-განვითარებას. ამიტომ, შესაძლოა, კანონის საბოლოო პროექტში გათვალისწინება მაღალმთიან დასახლებებში (დაცარიელებულ სოფლებში) ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის სპეციალური პროგრამების შემუშავება, რომელსაც სხვადასხვა სამინისტროები განახორციელებენ.

ღონისძიებების განხორციელებაში აუცილებლად ჩაერთვებიან სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოები და მუნიციპალიტეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი თვითმყოფადობის შენარჩუნებას, დანგრეულის აღდგენას და იქ არსებული სხვა პრობლემების მოგვარებას. ამასთან შესაძლებელია, შეიქმნას მთის დამოუკიდებელი ეროვნული საბჭო, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მაღალმთიანი დასახლებების რეალური განვითარების საკითხებს.

— როგორც თქვენ აღნიშნეთ, პროექტი მალე გამოქვეყნდება პრესაში, განიხილება მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე თუ რამეა გამორჩენილი, ალბათ დაემატება. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მთაში მიგრაციის შეჩერება, დაცარიელებული სოფლების აღდგენა, რისთვისაც თქვენი კომისია პროექტში გადამწყვეტ სიტყვას ვერ ამბობს. ჩვენი აზრით, არ უნდა შევშინდეთ. მთის კანონის განხორციელებისთვის შესაძლებელია სხვა დამატებითი სახსრების გამონახვაც. ასე მაგალითად: ამ მიზნისთვის შესაძლებელია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოს მხოლოდ მისი 1 პროცენტი თანხა. რომელიც 90 მილიონამდე აღწევს. ეს თანხა სრულიად საკმარისი იქნება დაცარიელებულ სოფლებში ადამიანების დასაბრუნებლად. ჩვენ გვჯერა, რომ ბიუჯეტის მონაწილე არც ერთი ორგანიზაცია, წარმოება, ინდივიდი უარს არ იტყვის მისი კუთვნილი თანხიდან ერთი პროცენტის გამოყოფაზე!..

ლვთისავარ არჩემაშვილი

◎ SIC!

ტაბაწყურელებს ტბა გაუყიდეს

„ყველამ კარგად“ ვიცით, რას ნიშნავდა იმ დროს შს მინისტრ ვანო მერაბიშვილთან მეგობრობა“

სამცხეში, სოფელ ტაბაწყურში, მოსახლეობის ფარულად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ვითომ და აუქციონით, 2010 წლის 2 სექტემბერს ეკონომიკის სამინისტროს ძალისხმევით, 1832 ლარად ტბა გაასხვისა სომხეთის მაშინდელ გარემოს დაცვის მინისტრ ამჟამად ამავე ქვეყნის პარლამენტარ ვარდან აივაზიანზე. ამ თითქოს და აუქციონში მხოლოდ ერთი კომპანია — „ტბები“ მონაწილეობდა, რომლის 90% წილის მფლობელიც მეზობელი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატია.

სოფლის მკვიდრი **თემურ კარიბოვი** გვიყვება: საეჭვო გარიგების შეფუთვისათვის გაფორმდა კომპანიასთან 20-წლიანი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც თევზი ტბაში სტაბილურად იქნებოდა, ანუ მოხდებოდა ტაბაწყურის გათევზიანება, მაგრამ მოხდა პირიქით — ახალმა მეპატრონემ სევანის ტბიდან 80 კგ. კიბორჩხალა ჩამოიტანა და ტბაში გაუშვა. კიბორჩხალები კი, თევზის ქვირითით იკვებებიან. შედეგად, მთლიანად განადგურდა 13 სახეობის თევზი. შეთანხმებით გათვალისწინებული გათევზიანების იგნორირების პარალელურად „ტბებმა“ ადგილობრივებს ჯერ თევზაობა შეუზღუდა, მერე საერთოდ აუკრძალა, ამისთვის სპეციალური დაცვაც დაიქირავეს.

თემურ კარიბოვის გადმოცემით, სოფლის მეურნეობამ დახმარებისა და კანონის დაცვის მოთხოვნით, არაერთგზის მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ უშედეგოდ. როგორ იქნებოდა შედეგი, როდესაც აივაზიანი ახლო ურთიერთობაში იყო საქართველოს იმჟამინდელ შს მინისტრ ვანო მერაბიშვილთან. სომეხი პარლამენტარი და ქართველი მინისტრი ხშირად ხვდებოდნენ ტაბაწყურში ერთმანეთს. იმართებოდა ღრეობები.

ჩვენი რესპონდენტის ინფორმაციით, სოფლელები სასამართლოში ჩივილს აპირებენ, რათა ბათილად გამოცხადდეს „ვითომ აუქციონის“ შედეგები, მოეწყოს ნამდვილი, სამართლიანი აუქციონი. თევზაობის უფლების ლიცენზიის მოსაპოვებლად ისინიც გამოაცხადებენ თავიანთ სურვილს და შეიძენენ მას.

ტაბაწყურელებმა, სასამართლოში კი იჩივლეს, მაგრამ თბილისის საქალაქო სასამართლომ, რამდენიმე დღის ჩანიშნული პირველი მოსმენა გაურკვეველი მიზეზით გადადო.

სომეხ დეპუტატს ქომაგები გამოუჩნდნენ. თუმცა, მათი პოზიცია მხოლოდ პირად სიმპათიებსა და ვარაუდებზეა დაფუძნებული: „ვარდან აივაზიანი ჩვენებური (იგულისხმება ტაბაწყურელი) ადამიანი და კარგი მეგობარია. აივაზიანი ჩვენი ქვეყნის ძალიან დიდი მხარდამჭერი, აგიტატორი და პროპაგანდისტია, ვიცი, რომ ის კანონდარღვევას არ ჩაიდენდა. ისიც ვიცი, რომ ტერიტორია კანონის შესაბამისად შეისყიდა, ამიტომ ამ კუთხით ბრალი არაფერში მიუძღვისო“.

მათთან შედარებით პრობლემაში ბევრად ჩახედულია არასამთავრობო ორგანიზაცია, „მრავალეროვანი საქართველო“. მისი თავმჯდომარე არნოლდ სტეფანიანი ამბობს, რომ მისთვის ცნობილია ტაბაწყურელთა და აივაზიანის დაპირისპირება. სომხეთის დეპუტატი ადილობრივებს მართლაც უკრძალავს თევზაობას. არასამთავრობოს თავმჯდომარისთვის ისიც არის ცნობილი, რომ „ტბების“ 90% -ის მფლობელ , ტბის კანონიერი მფლობელია და აკრძალვა-არ აკრძალვა მისი უფლებაა.

„ვიცი, რომ ვარდან აივაზიანი არა მარტო მერაბიშვილთან, არამედ წინა მთავრობის სხვა მაღალჩინოსნებთანაც მეგობრობდა. კონკრეტულად, თუ როგორ მოხდა ამ ტბის შესყიდვა, ამაზე ინფორმაციას არ ვფლობ. თუმცა, ყველამ კარგად ვიცით, რას ნიშნავდა იმ პერიოდში შს მინისტრთან მეგობრობა. ბევრი ვიცით, ვინც სამცხე-ჯავახეთში, ამ ადამინთან მეგობრობით ცხოვრება აიწყო ისე რომ, არაფერს გამოვრიცხავ“, — ასკვნის სტეფანიანი. ის ამბობს, რომ აივაზიანი ადგილობრივებს არსებობის ერთადერთ წყაროს მართლაც ართმევს, რადგან თევზაობა, მესაქონლეობასთან ერთად, თავის ერთდაერთი გასატანია. „მრავალეროვანი საქართველოს“ ლიდერს მიაჩნია, რომ რადგან აკრძალვები მხოლოდ ერთი სოფლის მოსახლეობას არ ეხება (ასეთ დღეში კიდევ ორი სოფელია), ცენტრალური ხელისუფლებაც უნდა ჩაერთოს პრობლემის მოგვარებაში და გამოსავალის რაღაც გზა გამოძებნოს.

ზაზა ბილიხოძე

◎ ალიან-ჩალიანი

ნაციონალები და „რუსთავი-2“, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ცრუობენ!

გარდაბანში 35 ჰექტარი მიწა თანაინვესტირების ფონდს არა ერთ ლარად, არამედ 10 მლნ ლარის საინვესტიციო ვალდებულებით გადაეცა, განაცხადა საქართველოს თანაინვესტირების ფონდის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ბაჩიაშვილმა, რომელმაც მედიის წარმომადგენლებს გარდაბანში ინვესტიციით აშენებული ახალი სასათბურე მეურნეობა დაათვალიერებინა.

„ჩვენ ვიმყოფებით გარდაბანში სასათბურე მეურნეობის ტერიტორიაზე, სადაც 10 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა და აშენდა 44 000 კვ.მეტრის მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობა. მისი ოფიციალურად გახსნის ცერემონია მოგვიანებით იგეგმება, თუმცა, „რუსთავი-2“-ით და კერძოდ, ეკა კვესიტაძის 21 მარტის გადაცემაში გასული დეზინფორმაციის გამო, გადაწყვეტილება მივიღეთ, რომ მოგვეწვია მედიის წარმომადგენლები, რათა თქვენ თავად ნახოთ და შეაფასოთ აქ ჩატარებული სამუშაოების მასშტაბები. ტყუილია, რომ მე და უჩა მამაცაშვილს სახელმწიფომ 1 ლარად გადმოგვცა 35 ჰექტარი მიწა გარდაბანში. მეორე ტყუილია ის, თითქოს 1 ლარად გადმოცემულ ქონებას არ ჰქონდა არანაირი საინვესტიციო ვალდებულება, მესამე ტყუილია ინფორმაცია, რომ თანაინვესტირების ფონდი სახელმწიფო პროგრამაა, მეოთხე ტყუილი კი დეპუტატ ვაშაძეს ეკუთვნის, რომლის განცხადებითაც, ბიძინა ივანიშვილი საკუთარ თანხებს არ აინვესტირებს საქართველოში, 2,5-მილიონიანი აღნიშნული ქონება მიისაკუთრა და ხელში ჩაიგდო.

რაც შეეხება რეალობას, მთელი პასუხიმგებლობით ვაცხადებ, რომ 2,5 მილიონ ლარად შეფასებული მიწა არა ერთ ლარად, არამედ 10-მილიონიანი საინვესტიციო ვალდებულებით გადმოგვეცა და გადმოგვეცა საქართველოს თანაინვესტირების ფონდს და არა — მის მმართველ კომპანიას, რომლის თანამფლობელები გახლავართ მე და უჩა მამაცაშვილი“, — განაცხადა გიორგი ბაჩიაშვილმა.

„აღნიშნული მიწა ფონდს გადაეცა 2014 წლის 26 აგვისტოს. უკვე 19 სექტემბერს მოხდა პროექტის პრეზენტაცია. სულ რაღაც 6 თვეში უკვე გაშენებულია 44 000 კვ.მეტრი. მშენებლობის მეორე ეტაპი დაიწყება აპრილში, რომელსაც დაემატება კიდევ 85 000 კვ.მეტრი. უკვე ჩადებულ 10 მილიონი ლარის ინვესტიციას სექტემბრამდე დაემატება კიდევ 20 მილიონი ლარი. ამ ეტაპზე დასაქმებულია 108 ადამიანი, მათი რიცხვი 200-მდე გაიზრდება. დასაქმებული ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, მოწვეული გვყავს ექსპერტები — გეოინჟინრები, აგროტექნოლოგები და აგრონომები მთელი საქართველოდან, ასევე საფრანგეთიდან და უკრაინიდან. შემოტანილია დანადგარები, ბოსტნეულის კულტურები საფრანგეთიდან და ჰოლანდიიდან. ამგვარად, ჩვენი „დანაშაული“ შემდგომში მდგომარეობს — ამ ადგილას 6 თვის წინ იყო 35 ჰექტარი ხრიოკი მიწა, დღეს კი თავად ხედავთ იმას, რაც აშენებულია. სექტემბერისთვის ეს მასშტაბი გასამმაგებული იქნება. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის ბიუჯეტში შევა მილიონობით ლარი. გარწმუნებთ, რომ აქ, ქართულ მიწაზე წარმოებულ პროდუქციას ვერანაირი იმპორტი ვერ გაუწევს კონკურენციას“. — აღნიშნა თანაინვესტირების ფონდის გენერალურმა დირექტორმა.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„YENICAG“: ჰაიდარ ჩაქმაქი:

„თურქეთმა ახლო აღმოსავლეთის გაკვეთილები უნდა გაითვალისწინოს“

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეერთებული შტატები შავიზღვისპირეთით სერიოზულად დაინტერესდა. ცივი ომის დროს თურქეთი ერთადერთი შავიზღვისპირა ქვეყანა იყო, რომელიც ნატოს წევრად ითვლებოდა. 2004 წელს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში კიდევ ორი სახელმწიფო გაწევრდა, რომლებიც შავი ზღვის დასავლეთ ნაპირზე მდებარეობდნენ. მომდევნო პერიოდში, სავარაუდოდ, ნატოს წევრები აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ნაპირებზე მდებარე ქვეყნებიც – საქართველო და უკრაინაც უნდა გამხდარიყვნენ, მაგრამ....

2008 წლის აგვისტოში რუსეთმა, საქართველოზე თავდასხმის შემდეგ, ეს ქვეყანა გაყო და მის ტერიტორიაზე ორი მცირე რესპუბლიკა შექმნა – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. დღეს საქართველო იმ იმედით, რომ ამ რეგიონებს დაიბრუნებს, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას ცდილობს, ხოლო პროდასავლურად განწყობილი ქართველების ნატოში და ევროკავშირში გაერთიანების სურვილი ფანტომად გადაიქცა.

როცა საქართველოს საჭესთან ედუარდ შევარდნაძე იდგა, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოღვაწე იოსებ სტალინის შემდეგ, ქვეყანაში ნელ-ნელა სტაბილურობა დამყარდა, მაგრამ შედარებითმა სიმშვიდემ დიდხანს არ გასტანა: მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც პრეზიდენტად ედუარდ შევარდნაძის შემდეგ აირჩიეს და რომელიც დასავლეთისა და აშშ-ის მოკავშირე გახდა, რუსეთი ძალიან გააღიზიანა. როგორც კი კრიზისი დაიწყო, მიხეილ სააკაშვილი მისმა დასავლელმა მეგობრებმა მოსკოვთან პირისპირ მიატოვეს. შესაბამისად, ამერიკისა და ევროპის რეპუტაცია საკმაოდ შეილახა.

სომხეთიც პროდასავლური ქვეყანაა (ავტორი, ალბათ, ევროპასა და ამერიკაში არსებულ მრავალრიცხოვან სომხურ დიასპორასაც გულისხმობს – ს.კ.), რომელიც ასევე შავი ზღვის აუზში მდებარეობს, თუმცა, მას ზღვაზე გასასვლელი არა აქვს. მისი პროდასავლურობის მიუხედავად, დასავლეთმა სომხეთი რუსეთს დაუტოვა. სამომავლოდ ერევანი დასავლეთისკენ რომ არ წასულიყო, რუსეთმა პოლიტიკური ქრთამი მისცა: დაეხმარა აზერბაიჯანის ტერიტორიების ოკუპირებაში (მთიანი ყარაბაღი და მის ირგვლივ მდებარე რაიონები) და თვალი დახუჭა ათასობით აზერბაიჯანელის, მათ შორის, უდანაშაულო ქალებისა და ბავშვების სიკვდილზე (ხოჯალის გენოციდი 1992 წლის თებერვალში). ამ ტრაგედიის დროს დასავლეთის ცივილიზებულ სახელმწიფოებს თვალიც კი არ დაუხამხამებიათ.

იმ საბაბით, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საკმაოდ მრავალრიცხოვანი რუსულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს, რუსეთი ამ სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევას ცდილობს და მათ მთავრობებს ინტერვენციით ემუქრება ხოლმე. პირველ რიგში, რუსეთმა თავის მარწუხებში მოაქცია ცენტრალური აზიის ქვეყნები, განსაკუთრებით ყაზახეთი. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები და უპირველესად, აშშ მხარს უჭერენ რეგიონის ქრისტიანულ ქვეყნებს, მათ მაინც ვერ მოახერხეს და რუსეთს დათმობაზე წასვლა ვერ აიძულეს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით შეინიშნება საქართველოს, მოლდოვას და უკრაინის მიმართ. გაუბედავი პოლიტიკით ვაშინგტონმა თავისი ავტორიტეტი თვითონვე შელახა.

დასავლეთმა საკუთარი უმოქმედობა კიდევ ერთხელ 2014 წლის 18 მარტს დაადასტურა, როცა რუსეთმა უკრაინის ნაწილის – ყირიმის ანექსია მოახდინა. სანქციები ერთადერთი საშუალება გახდა, რომელთა დაწესება დასავლეთმა რუსეთის წინააღმდეგ მოახერხა. თავის მხრივ, რუსებმა დაინახეს დასავლეთის უმწეობა და გააცნობიერეს, რომ ვაშინგტონი და ბრიუსელი მოსკოვის წინააღმდეგ ვერანაირ ომს ვერ დაიწყებენ... რესურსებით მდიდარ რუსეთს საერთოდ არ ანაღვლებს დასავლური სანქციები, მით უმეტეს, რომ ცოტა დრო გავა და დასავლეთის სახელმწიფოები თვითონ დაიწყებენ თავიანთ მიერვე შემოღებული სანქციების გვერდის ავლას....

რუსეთი თავისი ტერიტორიის ფართობით მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოა, თუმცა, სხვის მიწებზე მაინც თვალი უჭირავს, მაგალითად, ბალტიისპირეთზე. ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა რომ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ბედი არ გაიზიარონ, ამერიკა და ნატო მათ მნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკურ დახმარებას უწევენ.

ამას წინათ რუსეთმა შავი ზღვის რეგიონში ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები დაიწყო, რომელიც უკრაინის კრიზისს უკავშირდება. რასაკვირველია, ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში ნატოც ატარებს საპასუხო წვრთნებს, რომლებშიც თურქეთი, რუმინეთი და ბულგარეთი მონაწილეობენ. სხვათა შორის, ყოფილი სოციალისტური ქვეყნები ბულგარეთი და რუმინეთი საკმაოდ სერიოზულ რისკზე მიდიან – ბუქარესტი და სოფია თავიანთ ყოფილ ბოსს – მოსკოვს აღიზიანებენ. თუ კრიზისი იქნება და დასავლეთიც ამ ორ ქვეყანას ისე მიატოვებს, როგორც საქართველო და უკრაინა მიატოვა, ადვილი წარმოსადგენია, რა საშინელება მოხდება...

თურქეთის ბედიც ბეწვზე ჰკიდია: ანკარა პასუხისმგებელია 1936 წლის მონტრეს კონვენციაზე, რომელიც ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების სტატუსს აწესრიგებს და რომლის თანახმად, იქ სამხედრო გემების გატარება მკაცრ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს. თუ თურქეთი ამ კონვენციის დარღვევას ან გვერდის ავლას შეეცდება, მას რუსეთისაგან საფრთხე დაემუქრება.

თურქეთისათვის უკრაინა მაშინ იყო მნიშვნელოვანი, როცა ყირიმი კიევს ექვემდებარებოდა (ყირიმში ხომ თურქების მონათესავე თათრები ცხოვრობენ), მაგრამ ახლა, როცა ნახევარკუნძული რუსეთის ხელშია, უკრაინა ანკარასათვის მეორადია, ანუ შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვან ქვეყანას წარმოადგენს. თურქეთისთვის დღეს, ნატოს ქვეყნების გარდა, მნიშვნელოვანი ისევ რუსეთია, როგორც მისი უშუალო მეზობელი. მმართველმა სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ ეს უნდა გააცნობიეროს და ფრთხილი, დაბალანსებული პოლიტიკა უნდა გაატაროს. ანკარა არ უნდა მოიქცეს ისე, როგორც ამას წინათ ახლო აღმოსავლეთის მოვლენების დროს მოიქცა. თურქეთმა არავინ არ უნდა აიმხედროს.

შავი ზღის რეგიონი რისკებისა და მუქარების წყაროა. აქ შეიძლება სერიოზული კონფლიქტები განვითარდეს. თურქეთმა ახლო აღმოსავლეთის გაკვეთილები უნდა გაითვალისწინოს, რათა მისთვის უცხო პრობლემების მონაწილე არ გახდეს.

რუსული „რბილი ძალა“: მითები თუ სინამდვილე

აშშ-ის პოპულარულმა ელექტრონულმა გამოცემამ „EurasiaNet“-მა გამოაქვეყნა ჟურნალისტ პოლ რიმპლის სტატია სათაურით „რამდენად გავლენიანია რუსული „რბილი ძალა „საქართველოში“. მასში, კერძოდ, ნათქვამია:

„დასავლეთში ცოტა თუ ვინმე ეჭვობს, რომ საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის კურსი მტკიცედ აქვს აღებული, მაგრამ ქართული ვალუტის მკვეთრი გაუფასურების ფონზე, რომელმაც რესპუბლიკის მყიფე ეკონომიკაზე ნეგატიური გავლენა მოახდინა, სულ უფრო მეტად გაისმის ხმები საქართველოს მოსახლეობის დასარწმუნებლად – გადახედონ თავიანთ შეხედულებებს ევროატლანტიკური ინტეგრაციის უპირატესობასთან მიმართებით.

კრიტიკული თავდასხმების სამიზნე სულ უფრო მეტად ხდება NATO, რომლის სასწავლო ცენტრი საქართველოში მიმდინარე წლის ბოლოს უნდა გაიხსნას. უკრაინაში მიმდინარე კრიზისის ფონზე, როცა რუსეთი, NATO-სთან ინტეგრირების მსურველი კიევის საწინააღმდეგოდ, მხარს პრორუსულ დონბასს უჭერს, ქართველების პოზიცია, შესაძლოა, გასაგებიც იყოს, მაგრამ NATO-ს მოწინააღმდეგენი საკითხს ეკონომიკური კუთხით უდგებიან: მათთვის უმჯობესია ვაჭრობის გაფართოება რუსეთთან და ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრ ქვეყნებთან. მათი აზრით, საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს საკუთარი თავის გადასარჩენად.

NATO-ს ერთ-ერთი აქტიური მოწინააღმდეგეა მმართველი კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი, „ლუდის ბარონად“ წოდებული, 74 წლის მრეწველი გოგი თოფაძე. იგი თავის ბოლოდროინდელ ინტერვიუებში ისეთ თვალსაზრისს გამოხატავს, რომელიც ხელისუფლების ოფიციალური პოზიციისაგან რადიკალურად განსხვავდება: აკრიტიკებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს და დადებითად აფასებს ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს. მისი თქმით, NATO სამხედრო ორგანიზაციაა და მასში გაწევრება საქართველოს უფრო მოწყვლადს გახდის (ზოგიერთი მეზობლის მხრიდან).

როგორც საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა აღნიშნა EurasiaNet-თან საუბარში, დეპუტატ გოგი თოფაძის თვალსაზრისი მთავრობის პოზიციას არ ასახავს. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლების „NATO-სკენ სწრაფვა – ეს არის ბილეთი ერთი მიმართულებით – ალიანსში გაწევრების მიზნით. ირაკლი სესიაშვილმა არ გაიზიარა მოსაზრება, რომ ქართველ საზოგადოებაში NATO-სადმი კრიტიკული დამოკიდებულება მატულობს და რომ დასავლეთი საქართველოს დაპირებების გარდა არაფერს აძლევს. „ჩვენ თვალს ვადევნებთ უკრაინაში და მოლდოვაში მიმდინარე პროცესებს. იგივე ხდება საქართველოშიც“, – ამბობს იგი.

საქართველოში ბოლო დროს თავი წამოჰყვეს იმ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებთაც „NATO-საკენ აღებული ბილეთის“ გაუქმება სურთ. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციაა „ერეკლე მეორის საზოგადოება“, რომელსაც NATO-ში გაწევრების საკითხზე ახალი რეფერენდუმის ჩატარება სურს (2008 წლის რეფერენდუმის შედეგებით, რომელსაც სავალდებულო ხასიათი არ ჰქონდა, ქართველების 70%-მა NATO-ში ინტეგრირებას მხარი დაუჭირა).

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერიდან ცხრა თვე გავიდა, შედეგი კი ჯერჯერობით არაფერია. „ევროპა შორსაა... ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპელები საქართველოში თავისუფლად ჩამოდიან, კომპანიებს ხსნიან, ფულს აკეთებენ, ჩვენ კი იქ წასვლა არ შეგვიძლია“, – დაიჩივლა 54 წლის ტაქსისტმა ნიკა ჯავახიშვილმა „EurasiaNet“-თან საუბარში.

როგორც ოპოზიციური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე აცხადებს (იგი ოდესღაც პროდასავლელი მიხეილ სააკაშვილის თანამოაზრე იყო), „სიტუაციას რეალურად უნდა შევხედოთ: როგორ უნდა შევიდეთ NATO-ში, როცა რუსეთი ჩვენს ტერიტორიაზე იმყოფება? რატომ ვაგრძელებთ ერთსა და იმავეზე საუბარს, როცა აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა გვეუბნება, რომ NATO-ში თქვენი გაწევრება შეუძლებელიაო? საკითხი ობიექტურად უნდა შევაფასოთ: ჩვენ ვერც NATO-ს წევრი გავხდებით, არც უვიზო რეჟიმს მოგვცემენ. ევროკავშირი გაფართოებისათვის მზად არ არის, არც საქართველოა მზად წევრობისათვის“.

როგორც ჩანს, ნინო ბურჯანაძის პოზიციას სულ უფრო მეტი ადამიანი ეთანხმება. მართალია, მისი რეიტინგი ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის შემდეგ ერთ პროცენტამდე დაეცა, მაგრამ 2013 წელს საპრეზიდენტო არჩევნების დროს ნინო ბურჯანაძემ ხმების 10% მაინც მოაგროვა. თითქმის იმავე შედეგს მიაღწია მისმა პარტიამ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დროსაც.

მართალია, კრიტიკოსები ნინო ბურჯანაძეს და მსგავსი თვალსაზრისის მქონე სხვა ქართველ პოლიტიკოსებს ხშირად კრემლის პოლიტიკის გამტარებლებად წარმოსახავენ, მაგრამ როგორც სტრატეგიული კვლევების ქართული ფონდის პრეზიდენტი ალექსანდრე რონდელი ამბობს, „ევროკავშირისა და NATO-სკენ მიმავალ გზაზე საგრძნობი წარმატების არქონას“ მართლაც შეუძლია გავლენის მოხდენა საზოგადოებრივ აზრზე, რუსეთთან ურთიერთობის საკითხში. მისი თქმით, კრემლი ამით სარგებლობს და დიდ ყურადღებას აქცევს „რბილი ძალის“ სტრუქტურებით (ანუ პრორუსული არასამთავრობო ორგანიზაციებით) მუშაობას, რომლის მეშვეობით დასავლეთი „ჩვენი ტრადიციული ფასეულობების“ მოწინააღმდეგადაა წარმოჩენილი. „ჩვენი ხელისუფლება პატივს სცემს სიტყვის თავისუფლებას, – აცხადებს ირაკლი სესიაშვილი, – არ მოგვწონს, რომ ადამიანები რუსეთის ინტერესებს ლობირებენ, მაგრამ ამის გამო მათ ვერ დავაპატიმრებთ“.

მოკლედ, სტატიიდან გამომდინარე, შეიძლება ასეთი დასკვნა გაკეთდეს: ქართველ საზოგადოებაში რუსეთისადმი სიმპათიების მატება სულაც არ ყოფილა მითები და გარკვეულწილად სინამდვილეს ასახავს.

მოამზადა სიმონ კილაძემ,
„რეპორტიორის“ ანალიტიკური სამსახურის ხელმძღვანელმა

დედამიწის ზურგზე

საფრანგეთში ლაინერ „გერმანუინგსის“ ავარიის ადგილზე განახლდა საძიებო ოპერაცია, განიხილება კატასტროფის ყველა ვერსია

მოძიება რთულდება ადგილის რთული რელიეფისა და ამინდის პირობების გამო: ამჟამად პოლიციისა და სამძებრო-სამაშველო სამსახურების თანამშრომლები ცდილობენ, უზრუნველყონ ფეხით მისვლის საშუალება ნამსხვრევების ჩამოვარდნის ზონაში. წინა დღით აღმოაჩინეს „შავი ყუთი“ კაბინაში მოლაპარაკების ჩანაწერებით, გრძელდება თვითჩამწერის ძებნაც პარამეტრული მონაცემებით.

* * *

ჯენ პსაკიმ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტში თეთრ სახლში გადასვლის წინ გამართა უკანასკნელი ბრიფინგი

ჯენიფერ პსაკი ტოვებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის პოსტს და თეთრ სახლში გადადის სამუშაოდ. ქალბატონი გახდება პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციაში კომუნიკაციების დირექტორი და შეცვლის ჯენიფერ პალმერის, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ჰილარი კლინტონის წინასაარჩევნო კამპანიაში. ობამა პსაკის თავისუფალ გრაფიკს ჰპირდება — მისი ფეხმძიმობის გათვალისწინებით.

* * *

რუმინეთსა და ბულგარეთში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხედრო სწავლება დაიწყო

ამერიკის შეერთებული შტატების არმიის 173-ე საჰაერო-სადესანტო ბრიგადის შემადგენლობა შევიდა ქალაქ გალაცში სმარდანის პოლიგონზე, სადაც რუმინელ სამხედრო მოსამსახურესთან ერთად დაიწყო სწავლება. ბულგარეთში გაიმართა სასწავლო მანევრები ამერიკის შეერთებული შტატების სახმელეთო ძალების სარდლობის ორი ქვედანაყოფის მონაწილეობით.

* * *

იემენის პრეზიდენტი სთხოვს გაეროს უშიშროების საბჭოს, მოიწონოს სამხედრო ოპერაცია მეამბოხე ჰუსიტების წინააღმდეგ

სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, რომ მეამბოხეებმა „მთლიანად უარყვეს პოლიტიკური კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგების ყველა პირობა“ და ამჟამად ამზადებს მასირებულ შეტევას ქვეყნის სამხრეთში. იგი სთხოვს დახმარებას „ყველა ქვეყანას, რომლებსაც სურთ, რომ მათ დაეხმარონ“.

◎ სახალხო ანეკდოტები

21 მარტს თბილისში ნაციონალური მოძრაობის მორიგი „სახალხო შეკრება“ გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ „დიადი მიშას“ მხარდამჭერებს საქართველოში მძიმე დღეები უდგათ, იხტიბარს მაინც არ იტეხენ და ჩვენი ქვეყნის წარსულისაკენ დაბრუნება სურთ. უცხო ქვეყნებში „გადახვეწილი“ მიშიკოც „იატაკქვეშეთიდან“ გამოსულია, უწინდელი მხნეობაც დაიბრუნა და ხან უკრაინიდან, ხანაც შორეული ამერიკიდან საქართველოს მოსახლეობის თითქმის ყოველდღიური დამოძღვრა დაიწყო.

„ნაციონალების მიტინგზე“ რა გითხრათ. ვერ გაუგია ამ ხალხს, რომ მათმა მატარებელმა უკვე ჩაიქროლა. ალბათ, საქართველო დემოკრატიული განვითარების გზით მიდის, ამ ადამიანებს ჯერ ერთად შეკრების, შემდეგ კი რამდენიმე საათის განმავლობაში ლაპარაკის საშუალება რომ ეძლევათ.

„ნაცები“ „რევანშისთვის“ ემზადებიან, ჩვენ მკითხველებს კი პოლიტიკური ანეკდოტების მორიგი გამოშვება მსურს შევთავაზო.

სანამ უშუალოდ ანეკდოტებზე გადავალ, ერთ საყურადღებო მასალას გაგაცნობთ. არ ვიცი, თავისუფლების მოედანზე შეკრებილ ახალგაზრდა „ნაცებს“ სტაჟიანმა და გამოცდილმა „ნაცებმა“ ერთგულების ფიცი თუ დაადებინეს. ეს „დოკუმენტი“ ერთ-ერთ ადგილობრივ ფორუმზე ამოვიკითხე.

„ფრთხილად, მიშაში ფეხი არ ჩადგათ“

„ახალგაზრდა ნაციონალის ფიცი“

მე, ნაციონალური მოძრაობის წევრობის კანდიდატი, წევრად არჩევის შემთხვევაში, ვდებ საზეიმო ფიცს, რომ:

1. პრეზიდენტი მაგარია. დავდგები მის გვერდით ნებისმიერ სიტუაციაში, თანამდებობის მისაღებად.

2. დავთანხმდები ნებისმიერ შემოთავაზებულ თანამდებობას, თუნდაც ამ სამსახურის არა გამეგებოდეს რა.

3. ვილაპარაკებ სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს მაშინაც კი, როცა ეს სიმართლე სიმართლეს არ შეესაბამება.

4. მზად ვარ, პარტიის ინტერესებიდან გამომდინარე, გადავიდე ოპოზიციაში, მოვევლინო მათ ერთ-ერთ ლიდერად და გადამწყვეტ სიტუაციაში ისევ უკან დავბრუნდე.

5. პრეზიდენტის და პარტიის დასაცავად, მზად ვარ, უკმაყოფილო ხალხის შეკრების შემთხვევაში, აღვიჭურვო წყლის პარკებით, კისტის თოფით და სხვა საშუალებებით და გამოვიყენო ისინი სამშობლოს დასაცავად.

6. თუ ზემდგომი ორგანოები დამდებენ პატივს და ჩამსვამენ რომელიმე ბიზნესის წილში, მზად ვარ, პირად კეთილდღეობასთან ერთად აღნიშნული წილი მოვახმარო არჩევნებს, ოპოზიციონერთა მოსყიდვას და ასევე ქვეყნისთვის სხვა მნიშვნელოვან პრობლემებს.

7. არჩევნების წინ, ქუჩაში მოსახლეობის გამოკითხვის დროს, მზად ვარ დავდგე „რუსთავი 2“-ის კამერის წინ, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე და ვილაპარაკო ხელისუფლების წარმატებებზე.

8. ჩემი პარლამენტის დეპუტატად გაყვანის შემთხვევაში, მზად ვარ, ოთხი წლის განმავლობაში ვიჯდე მდუმარედ და ხმა მივცე უმრავლესობის მიერ შემოტანილ ნებისმიერ კანონპროექტს, თუნდაც ეს კანონპროექტი წაკითხული არ მქონდეს.

9. პიარის საჭიროების შემთხვევაში, მზად ვარ, გადავიცვა ზეინკალ-შემდუღებლის ფორმა (მიუხედავად იმისა, რომელ თანამდებობაზე ვიქნები) და შევასრულო პრესკონფერენციის ფონის ფუნქცია.

10. თუ ამ პუნქტებიდან რომელიმეს დარღვევა გადავწყვიტე, მზად ვარ, წავიკითხო ამ ფიცის პირველი პუნქტი.

„ფიცის“ გაცნობის შემდეგ უშუალოდ „საქმეზე“ გადავიდეთ. თავის დროზე სააკაშვილის შესახებ ხალხში მოარული არაერთი ანეკდოტი შევკრიბე. ამის გამო „მიშიკოს“ შესახებ „სიახლეების“ მოძიება გარკვეულწილად გამიჭირდა, თუმცა, რამდენიმე „მარგალიტს“ მაინც მივაგენი.

1. მიშა ჯოჯოხეთში მოხვდება. უცნაური ხმეებია, გარშემო ყველაფერს სულ ორთქლი ასდის და ცხელი ტალახის წვიმა მოდის. ჰორიზონტზე სატანა მოჩანს, რომელიც დიდ სავარძელშია ნახევრად წამოწოლილი და ჩილიმს აბოლებს.

ეშმაკებს მიშა ამ სატანასთან ნელ-ნელა მიჰყავთ. ერთი ეშმაკი, მეორეს გადაულაპრაკებს: — რეზო ამაშუკელი რას გაიხარებსო.

მიუახლოვდებიან სატანას და სატანა ეტყვის, დაგვტოვეთო. დარჩებიან მარტონი მიშა და სატანა. სატანა მიშას ეუბნება: ახლოს მოიწიეო. შეშინებული მიუახლოვდება მიშა. კიდევ ახლოსო. წაიწევა წინ მიშა. — თვალები დახუჭეო. დახუჭავს მიშა. ეხლა გაახილეო. გაახელს და დიდი ეკრანი გამოჩნდება, რომელსაც აწერია „პირდაპირი ჩართვა სააქაოდან“.

ეკრანიდან ჯონდი ბაღათურია მოჩანს, იღიმის და: — ჰა, ვინ მოხვდა ჭეშმარიტ ბალნეოლოგიურ კურორტზეო!

2. სააკაშვილი: ჩვენი ყველაზე დიდი შეცდომა იქნებოდა... თუ წარმატებებით ვიტრაბახებდით.

3. მიშა კვდება. ექიმი იტყვის, თუ მამალი ჭიანჭველა არ გადაყლაპა, სხვა ვერაფერი უშველისო. შეწუხდა მთელი ნაცმოძრაობა, ვაითუ დედალი გადავაყლაპოთ და „დაგვებრიდოს“ მიშა-ბელადიო.

ვანო მერაბიშვილი რისი ვანო იქნებოდა, გამოსავალს მიაგნო და ცოტა ხანში სასიკვდილოდ გადადებულს ჭიანჭველა მიართვა. მიშამ გადაყლაპა და ეგრევე განიკურნა.

გახარებულმა „მაღალმა“ ვანოს ჰკითხა, როგორ დაადგინე, რომ მაინცდამაინც მამალი იყოო.

— უადვილესია. ჭიანჭველების ბუდესთან მივედი და დავიძახე, მიშა კვდება-მეთქი.

ერთ-ერთმა მიპასუხა, ამ ჩემს ყ...სო, მეც დავავლე ხელი და წამოვიყვანე.

მოგვიანებით, იმ ჭიანჭველას ათი ათასი მისცეს და „კურიერის“ მიკროფონების წინ ათქმევინეს, რომ მიშას ნაწლავები მსოფლიოში საუკეთესოა და ნანახით აღფრთოვანებულია.

4. მიშას არასდროს არ აქვს განდიდების მანია, ის უბრალოდ ღმერთია.

5. „მაღალი“, ალიევი და სარგსიანი სანადიროდ არიან. დაინახეს დათვის ბუნაგი, გაექანა „მაღალი“ და შევარდა. ცოტა ხანში გამოდის უთავოდ. გაკვირვებული ალიევი ეკითხება სარგსიანს - ამას თავი ხომ ჰქონდაო?? ...ეეე, მაგას თავი რომ ჰქონოდა, ბუნაგში არ შევარდებოდაო...

6. გორში ფორთხვის შემდეგ, მიშამ თქვა: „ახლა მივხვდი ადრენალინს როგორი სუნი ჰქონიაო“.

7. ხალხში მოარული ფრაზა: — „ფრთხილად მიშაში ფეხი არ ჩადგათ“.

8. მიშას ჯოჯოხეთში დეპორტი ჩაურტყეს.

9. ვანო მინისტრთა საბჭოზე ტრაბახობს, ქურდული მენტალიტეტი აბსოლუტურად ამოვძირკვეო.

უცებ მიშა ეუბნება:

— ვანო მიდი ერთი ეგ ფანჯარა მოხურეო.

— ეგ მინისტრის საქმე არაა, ეგ „შნირების“ საქმეაო - უპასუხა ვანომ.

10. იაპონელები, ბრიტანელები, ამერიკელები და ქართველები ერთმანეთს ეჯიბრებიან, — ვინ უფრო მაგარი გამომგონებელი-მეცნიერია. იაპონელები მიცვალებულს ხელოვნურ ორგანოებს გადაუნერგავენ, დააპროგრამებენ და გააცოცხლებენ.

ბრიტანელები ჩონჩხს ხორცის მაგივრად ხელოვნურ ქსოვილებს მიაბამენ, დააპროგრამებენ და გააცოცხლებენ.

ამერიკელები ადამიანის თვალს იპოვიან, მათ მიერ შექმნილი ტექნოლოგიით თვალის მიერ სიცოცხლეში ნანახ ყველა ინფორმაციას შეისწავლიან და მისი მეშვეობით ზუსტად ისეთ ადამიანს შექმნიან, როგორიც თვალის პატრონი იყო.

დადგა ქართველების ჯერი და ქართველები დასცინიან დანარჩენებს — ეგ რა არის, ჩვენ გაურკვეველი ნივთი ვიპოვეთ, ჰალსტუხი გავუკეთეთ და პრეზიდენტად დავნიშნეთო“.

დროებით მიშას „თავი დავანებოთ“ და დღევანდელი წერილის დასასრულ უშუალოდ ნაციონალურ მოძრაობაზე „გადავერთოთ“.

11. დაკითხვიდან გამოსულ ნაციონალს მეორე ნაციონალი ეკითხება:

— რა გითხრეს?

— რა და, ან იმღერე, ან უგულავას წინააღმდეგ მიეცი ჩვენებაო.

— მერე, რა ქენი?

— რომელი ალა პუგაჩოვა მე ვარ...

12. ნაციონალების წევრი „ოცნების“ წევრს შეხვდა. ნაციონალი ეკითხება:

— რავა ხართ, ძამა?

— თქვენ რომ გაგიხარდებათ, ისე.

— რავა, ამოწყდით ყველა თუ?

13. ნაცმოძრაობა წინასაარჩევნო შეხვედრებს მართავს ახალქალაქის რაიონში, უამრავი ადგილობრივია თავმოყრილი და ყველა გულწრფელად ნაციონალებს უჭერს მხარს. „ნუ გეშინით, აქ ივანიშვილის პარტიას ხმას არავინ მისცემს“, — არწმუნებენ ადგილობრივი თავკაცები ნაცმოძრაობის ლიდერებს.

— კი მაგრამ რატომ?

— ეეე, იმ სომეხის დედა ვატირე „ქართულ ოცნებას“ რომ ხმას მისცემს.

სანტიაგო გაუჩო

◎ ჭიდაობა

პირველ დღეს – ოთხი მედალი

წლეულს პირველად იმართება 23-წლამდელ მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც პოლონური ვალბრჟიხი მასპინძლობს. ასპარეზობის სტარტზე შესანიშნავად იასპარეზეს საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა. ოთხ წონით კატეგორიაში ემზარ ბედინეიშვილის შეგირდებმა ორი ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს.

74 კილოგრამ წონით კატეგორიაში ზურაბ ერბოწონაშვილმა იყო-ჩაღა: ჯერ მოლდოველი იონ ვასილაჩი დაამარცხა – 7:0, მერე მის გზას გაუყენა გერმანელი კუბილაი ჩაკიჩი – 10:0. საშინელ დღეში ჩააგდო თურქი მურატ ერთურქი: მართალია, ქართველ ფალავანს მსაჯებმა მეტოქის დატრიალებისთვის რატომღაც ორი ქულა არ ჩაუთვალეს, მაგრამ მაინც შეძლო მშრალი ანგარიშით გამარჯვება – 10:0. ფინალში სომეხ არამ გრიგორიანს დაუპირისპირდა. ზურაბს აქ აღარ გაურისკავს და შეხვედრა ფრედ – 1:1 დაამთავრა, რადგან მეტოქეს ერთი გაფრთხილება ჰქონდა და ჩემპიონობისთვის ეს ანგარიში საკმარისი იყო.

საქართველოს დელეგაციას მეორე ოქროს მედალი ომარ გუსოშვილმა (97) მოუტანა. გორელმა ფალავანმა ზედიზედ აჯობა თურქ იუსუფ ცან ზეიბეკს (15:2), ბულგარელ კოლევ კალოიანსა (12:2) და კვიპროსელ ალექსიოს კაუსლიდისს (10:0). ფინალში აზერბაიჯანელ ნურმაგომედ გაჯიევს შეხვდა. პირველი პერიოდი 2:4 დათმო. შესვენების შემდეგ გუსოშვილი გააქტიურდა, საბოლოოდ 9:4 გაიმარჯვა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა.

მიზანთან ახლოს იყო ზურაბ იაკობაშვილი (65), რომელმაც ზედიზედ დაჯაბნა ავსტრიელი მაქსიმილიან აუსერლაიტნერი (6:0), სო-

მეხი მარეკ სირუნიანი (10:0) და რუსი ევგენი ჟირბაევი (8:0). ფინალში ჩვენებურს მეტოქეობას უწევდა იტალიელი ფრენკ ჩამიზო, რომელთანაც იაკობაშვილმა ვერაფერი გააწყო, 0:4 დამარცხდა და საბოლოოდ ვერცხლის მედალს დასჯერდა. ბრინჯაოს მედალი ბექა ბუჯიაშვილს (57) ერგო.

ლექსო ციწცაძე

◎ ნომინანტები

ლოპოტა რჩეულთა შორისაა

პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციამ (ACP) საჭადრაკო ტურნირების ორგანიზების მხრივ 2014 წლის ნომინანტები დაასახელა.

ოფიციალური ღონისძიებების საუკეთესოდ ჩატარებისათვის გამორჩეულია 6 ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტი.

მათ შორის არის ლოპოტაც, სადაც 2014 წლის 18 ივნისიდან 2 ივლისამდე მსოფლიოს ქალთა საჭადრაკო გრან-პრის სერია გაიმართა.

ლოპოტას კონკურენტები რუსული ხანტი-მანსიისკი, ნორვეგიული ტრომსო, ესპანური ბილბაო, აზერბაიჯანული ბაქო და რუსული სოჭი არიან.

რჩეულის გამოსავლენად გამოკითხვა 15 აპრილამდე გაგრძელდება.

კობა კობახიძე

◎ უეფაში

პლატინი მესამედ აირჩიეს

UEFA-ს პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ დაკავებული თანამდებობა კიდევ 4 წლით შეინარჩუნა.

საფრანგეთის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ ლეგენდარული ნახევარმცველი UEFA-ს პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი იყო და არავის გაჰკვირვებია, რომ ვენაში გამართულ რიგით 39-ე კონგრესზე ის ხელახლა აირჩიეს.

მიშელ პლატინი ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანოს 2007 წლიდან ხელმძღვანელობს. 2011 წელს ის მეორედ, ამჯერად კი მესამედ აირჩიეს.

UEFA-ში მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები 2019 წელს ჩატარდება.

გიორგი შოთაძე

◎ რეგიონი

დაიწყო სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია



კასპში სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია დაიწყო, რომელსაც მოსახლეობა წლებია მოთმინებით ელოდება.

სამუშაოები პროექტის მიხედვით მიმდინარეობს და ითვალისწინებს სპორტული კომპლექსის სრულად აღდგენას – ადმინისტრაციული შენობის, სასტუმროს, მრგვალი საჭიდაო დარბაზი, კალათბურთის დარბაზისა და ეზოს კეთილმოწყობას.

მშენებლებმა შენობის ავარიული ნაწილების დემონტაჟი მოახდინეს, ამორტიზებული ფანჯრები შეცვალეს მეტალოპლასტმასის ფანჯრებით, მოაწყვეს ბეტონის იატაკი.

სპორტულ კომპლექსს კასპელთა სპორტულ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. აღდგენილი სპორტული კომპლექსი ხელს შეუწყობს სხვადასხვა ჯგუფების ფუნქციონირებას სახეობების მიხედვით, მიღწევების გაუმჯობესებას, ჯანსაღი თაობის აღზრდას.

„მივაღწიეთ იმას, რომ სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია დავიწყეთ. მომავალში ვფიქრობთ ფეხბურთის მოედნის აღდგენასაც, რათა კომპლექსი სრულად ფუნქციონირებდეს და მომავალ სპორტსმენებს საუკეთესო ბაზა შევუქმნათ. მნიშვნელოვანია ის, რომ ახალგაზრდები, განსაკუთრებით კი ბავშვები თავისუფალ დროს ქუჩაში არ გაატარებენ და სპორტული ცხოვრებით დაკავდებიან. 2016 წელს ყველა კასპელი ახალი, თანამედროვე სპორტული კომპლექსით შევხვდებით“, – აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

პროექტი დააფინანსეს მსოფლიო ბანკმა და კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობამ.

ბეჭან დოლიძე



◎ ხელბურთი

მამა-შვილის დაპირისპირება ლიგის მეოთხედფინალში

ხელბურთის ჩემპიონთა ლიგაზე გამოვლინდა ყველა მეოთხედფინალისტი და უკვე გაიმართა წილისყრაც: ზაგრები-ბარსელონა, ვარდარი-კელცე, პსჟ-ვესპრემი, სეგედი-კილი. მეოთხედფინალში გავიდა ჯგუფური ტურნირის ოთხივე გამარჯვებული და სამი მეორეადგილოსანი, ანუ ყველა ფავორიტი.

შარშანდელი ჩემპიონი ფლენზბურგი მეორედაც დამარცხდა ფინალისტ კილთან (28:33) და ტურნირს გამოეთიშა. ოთხთა ფინალის დანარჩენი ორი მონაწილეც ბრძოლაშია: უნგრეთის ვესპრემმა მეორედაც მოუგო ლა რიოხას (37:31), ბარსელონამ – ოლბორგს (29:22). უნგრეთი ერთადერთი ქვეყანაა, ვისაც ორი გუნდი შერჩა: პიკ სეგედმა საკუთარ მოედანზეც მოუგო ბუნდესლიგის ერთ-ერთი ლიდერს, ლიოვენს (31:29). პარი სენ ჟერმენმაც ორჯერ დაამარცხა მეორე ფრანგული კლუბი დიუნკერკი, მაგრამ ორივეჯერ – მძიმე ბრძოლაში 23:22 და 23:21.

დანარჩენ სამ წყვილში რევანში შედგა, თუმცა, დანიის კოლდინგს, რომელმაც შინ მოუგო ზაგრებს (23:21) პირველი მატჩი 5 ბურთით ჰქონდა წაგებული. პოლონეთის კელცე ლიგაში ზედიზედ 11 მოგების შემდეგ შინ დამარცხდა მონპელიესთან – 31:33, მაგრამ საფრანგეთში მოპოვებული ოთხბურთიანი უპირატესობა მეოთხედფინალში გასასვლელად ეყო.

ერთადერთი გუნდი, ვინც პირველ მატჩში წაგების შემდეგ ვითარების შემობრუნება შეძლო, არის სკოპიეს ვარდარის – მაკედონიის ჩემპიონმა 6-ბურთიანი ჩამორჩენის შემდეგ 31:20 მოუგო პლოცკის ვისლას და მეოთხედფინალში მეორე პოლონურ გრანდს კელცეს შეხვდება. ვარდარის საუკეთესო ბომბარდირი გახლავთ ესპანელი ალექს დუიშებაევი, ხოლო კელცეს მწვრთნელი – მამამისი ტალანტ დუიშებაევი.

მეოთხედფინალის სხვა წყვილებიდან აღსანიშნავია ვესპრემისა და პარი სენ-ჟერმენის დაპირისპირება. შარშან ეს გუნდები ამავე სტადიაზე შეხვდნენ ერთმანეთს და ვესპრემმა მოიგო.

მეოთხედფინალები 8-12 და 15-19 აპრილს გაიმართება, ხოლო 30-31 მაისს ოთხთა ფინალია კიოლნში.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ელენა სანტარელი „იუვენტუსით“ და ალეგრით მოხიბლულია

იტალიელი მოდელი ელენა სანტარელი მოხიბლულია ტურინის „იუვენტუსის“ ბოლოდროინდელი გარჯით და ტურინული კლუბის მესაჭეს მასიმილიანო ალეგრის ცეცხლოვან ღამეს ჰპირდება, თუკი ამ უკანასკნელმა მოახერხა და „იუვენტუსი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე გაიყვანა.

ელენა სანტარელი, სხვათა შორის, იმავეს ამბობდა შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყების წინაც და „სკუადრა აძურას“ მაშინდელ მწვრთნელს ჩეზარე პრანდელის მის წინ მკერდის ჭიატით გავლას ჰპირდებოდა, თუ იტალიის ნაკრები მუნდიალის ფინალში გავიდოდა. მაგრამ, როგორც ლარს არ ეღირსა ნათელი დღე, ისე პრანდელის არ ღირსებია ელენასთან სექსი.

სხვათა შორის, მასიმილიანო ალეგრი, მიუხედავად იმისა, რომ ცოლიანი კაცია, სექსუალური თავგადასავლების დიდი სიყვარულით გამოირჩევა და იგი რამდენჯერმე სექსუალურ სკანდალში ჯერ კიდევ „მილანის“ მწვრთნელობისას გაეხვა. ელენა სანტარელისთან ხვანცალზე უარის თქმა კი ისეთივე რთული საქმეა, როგორც ჟირინოვსკის საოთხეში მოხვედრა.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ენერგოშემცველთა ბაზარი

ვიდა „მეციხოვნეთა“ და გარე „წიხლის მომყოლებელთა“ უღელქვეშ

ვინ დააოკებს დაუსჯელობით გათამამებული მონოპოლისტის „სოკარის“ ვნებებს?

მსოფლიოს უკლებლივ ყველა წარმატებული და განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში მოქმედი თავისუფალი ბაზრის კანონები და პრინციპები, ჩვენთან, უკეთეს შემთხვევაში, ნაკლებად რომ „ჭრის“, ეს თუნდაც ბოლო თვეებში საერთაშორისო ბაზრებზე ნედლ ნავთობზე ფასების უპრეცედენტო ვარდნამ დაგვანახა. ნედლეულის ფასის არნახულმა კლებამ, შესაბამისთად, ნავთობპროდუქტებზე, სხვა ენერგოშემცველებზე, მათ შორის ბუნებრივ გაზზე, ფიუჩერსული, საბითუმო და სამომხმარებლო ფასებიც საგრძნობლად შეამცირა ყველგან... საქართველოს გარდა. ჩვენებური ნავთობიმპორტიორების მიერ წლების მანძილზე მკვიდრად ნაგები „საკუთარი კეთილდღეობის გოდოლი“ დღესდღეობითაც ამაყადაა აღმართული წაქცეული ეკონომიკის, დავრდომილი ლარისა და გაღატაკებული მოსახლეობის ფონზე, მისი „მეციხოვნეები“ კი ლამის ძალით ამორთმეულ მონაგებ ფულებს სხვადასხვა, შედარებით ნაკლებად „მყვირალა“, მაგალითად, სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესებში აბანდებენ.

სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ ვიდრე ბარელი ნედლი ნავთობის ფასი ქვევით-ქვევით მიიწევდა, საქართველოს ნავთობიმპორტიორები სამანქანო საწვავის ფასს არ ზრდიდნენ, პირიქით, ოდნავ შეამცირეს, რაც უმალვე დაგვამადლეს კიდეც. მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსის საგრძნობმა ვარდნამ „ნავთობის კაპიტნებს“ ფასის მომატების ფორმალური საბაბი მისცა — საკმაოდ მოკლეხნიანი „ტაიმ-აუტის“ შემდეგ, რაც სხვადასხვა სახეობის საწვავზე შედარებით შემცირებული ფასები „მყიფე წონასწორობაში“ იმყოფებოდა, ახლა ბენზინისა და დიზელის საწვავის ფასმა ისევ, თითქოსდა „უმნიშვნელო“ 3-5 თეთრით მოიმატა. **ამ ასეთ სარფიან ცვლილებას, სამამულო ნავთობიმპორტიორები საერთაშორისო ბაზარზე საწვავის ფასის მატებას, ასევე ლარის ბოლოდროინდელ დევალვაციას ასახელებენ.** ეს ორი მდგენელი, რაღა თქმა უნდა, ყოველთვის განსაზღვრავს ამა თუ იმ ნავთობპროდუქტის (სხვათა შორის, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა იმპორტული საქონლის!) ფასს, მაგრამ ჩვენში მისი ზრდა თითქმის მყისიერად, კლება კი ნება-ნება, სვენებ-სვენებით, კუს ნაბიჯით ხდება ხოლმე, რასაც ვერანაირი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა წლების მანძილზე ვერაფერს აკლებს. გასაგებია, როცა ფასს წვრილ-წვრილი იმპორტიორები ზრდიან, რომლებსაც ბენზინი, დიზელი თუ სხვა ნავთობპროდუქტი, პატარ-პატარა პარტიებად შემოაქვთ და ბაზრის ბოლო ფასზე არიან მიბმულები, მაგრამ დიდი კომპანიების, ვთქვათ, „ვისოლის“, „გალფის“, „ლუკოილის“, სხვების ამ მიზეზით გამართლება, რომლებიც მაღალ ფასებს მუდამ „ძვირად შეძენილი ნაშთების დიდი მარაგების“ არსებობით ხსნიან ხოლმე, ნამდვილად არ შეიძლება.

საქართველოში უკლებლივ ყველა სახეობის სამომხმარებლო ბაზარზე იმპორტიორ მონოპოლისტთა მოძალება რომაა, ყველამ ვიცით, თუმცა, ამ აშკარად „მოძალადეთა“ ფონზეც კი ენერგოშემცველთა შემომტანები ჯუჯებს შორის ჭეშმარიტ გოლიათებად ჩანან, მათ შორის კი, ყველაზე მოურიდებელი აზერბაიჯანული „სოკარია“, რომელიც **ბენზინშიც, დიზელის საწვავშიც, ბუნებრივ გაზშიც იმდენს გვახდევინებს, თითქოს ეს ყველაფერი არა „კეთილი სამეზობლოდან“, არამედ ალასკიდან მოჰქონდეს.** „სოკარმა“ „ლარწაქცეულებზე“ მორიგი „წიხლის მოყოლებაც“ არ დააყოვნა და ავტომანქანების გაზგასამართ სადგურებზე კუბური მეტრის ფასი 1,2 ლარამდე აზიდა. „სოკარს“ იმიტომ გამოვყოფთ, რომ ეს კომპანია „საკუთარ გაზს“ ყიდის, რომელსაც, რომ იტყვიან, „აგერ, ყურის ძირში“ მოიპოვებენ, სხვებს კი მისი ყიდვა... ისევ „სოკარისგან“ უწევთ, ამიტომაც, ბუნებრივია, უფრო ძვირი უჯდებათ. ამიტომაცაა, რომ ბოლო გაძვირების მიუხედავად, ფასი მაინც კონკურენტებზე დაბალი აქვს, ვინაიდან ცოტა ხნის წინათ მათ ფასი უკვე გაუზარდა, საკუთარ საცალო ქსელში კი დაუკლო. შედეგი კარგადაა ცნობილი: „სოკარის“ ბევრი კონკურენტი ამის გამო გაკოტრდა, რის შედეგად კომპანიამ საკუთარი გაზგასამართი სადგურების ქსელი საქართველოში საგრძნობლად გააფართოვა. **ასე ლაღად, ყოველგვარი მორიდების გარეშე მოქმედების შესაძლებლობას „სოკარს“ ნავთობპროდუქტების ბაზარზე მონოპოლისტის მდგომარეობა აძლევს:** — აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია დიზელისა და ბუნებრივი გაზის იმპორტს, ასევე გატარება-მიწოდების ბაზარს სრულად, ბენზინისას კი 80 პროცენტით აკონტროლებს და, ცხადია, ფასსაც თავადვე განსაზღვრავს. მონოპოლისტის პოზიციიდან „სოკარი“ საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე „სამეთაურო პოზიციებს“ წლების მანძილზე უკლებლივ ყველა ხელისუფლების პირობებში ინარჩუნებს და უზარმაზარ მოგებასაც ნახულობს. თავად განსაჯეთ: **ბოლო თვეების მანძილზე მსოფლიო ბაზარზე როგორც ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი გაზის, ასევე ნავთობპროდუქტების ფასი 50 პროცენტით და მეტითაც კი შემცირდა, საქართველოში კი ფასდაკლების „ბაქოური არდადეგები“ სულ ორი თუ სამი თვე, ისიც 15-20-პროცენტიანი მაჩვენებლით გაგრძელდა!**

ფაქტობრივად, საქმე ისეთნაირადაა „აწყობილი“, რომ მონოპოლისტ „სოკარს“ საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ დიალოგი თანასწორუფლებიანად ვერ გაუმართა — ეს სხვაგვარად რომ ყოფილიყო, აზერბაიჯანიდან შესყიდული ბუნებრივი გაზის ფასი, დღესდღეობით, საზოგადოებისთვის „საიდუმლოთა საიდუმლო“ არ იქნებოდა ისევე, როგორც ის ვირტუალური შეღავათები, რომლებითაც ჩვენ ვითომდა ვსარგებლობთ, როგორც აზერბაიჯნული ენერგოშემცველების ევროპისკენ გამტარი ქვეყანა.

ამდენად, ვიდრე ამ პრობლემის გადაწყვეტის პოლიტიკური ნება არ იქნება, დაზარალებული მხარე, მუდამ, ჩვენ, რიგითი მომხმარებლები ვიქნებით.

ოთარ ტურაბელიძე

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს დამსახურებული მხატვრის, დავით კაკაბაძის და ეთერ ანდრონიკაშვილის სახელოვანი ოჯახის შვილის, ბატონ

ამირ კაკაბაძის

გარდაცვალების გამო.

კუს ტბის მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უაღრესად კეთილშობილი პიროვნება და სიკეთის განსახიერება

მამია ჭუმბაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რევაზ კაკულია, ნოდარ კობიძე იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უახლოესი მეგობარი, კეთილშობილი პიროვნება

მამია ჭუმბაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



კირა მიქელაძე და მერაბ ბერძენშვილი სამძიმარს უცხადებენ დავით კაკაბაძეს სახელოვანი მამის

ამირ კაკაბაძის

გარდაცვალების გამო.

მერაბ ბერძენიშვილი

◎ რეპლიკა

მივხედოთ ქუჩას

ლუბლიანას ქუჩა დიღომში სავადმყოფოებისკენ მიმავალი ქუჩა ყველამ ვიცით, დრომ თავისი ქნა და დღეს ის აშკარად ვიწროდ გამოიყურება, იმის მაგივრად, რომ ქუჩის გაფართოების პერსპექტივებზე იფიქრონ ამ რაიონისა და ქალაქის მესვეურებმა, ვისაც ეს ხელეწიფება, ქუჩის დასაწყისში, ტროტუარზე ავტოპროფილაქტიკის მშენებლობა წამოიწყეს, თანაც გამწვანების ბორდიურებიც მოშალეს.

სხვაგვარად აქ მანქანები ვერ მოხვდება და ლუბლიანას ქუჩის დასაწყისი გახდება მანქანების საცობისა და შეფერხებების კიდევ ერთი კერა. იმის მაგივრად რომ ასეთი კერების აღმოფხვრაზე ვიზრუნოთ, დაბრკოლებებს ვამატებთ?

დასასჯელია ის ორგანიზაცია და ის პირები, ვინც ასეთ ნებართვებს გასცემენ.

ნოე ზოთაძე,
გვიდონ უშხვანი,
დიღმის მცხოვრებლები.

◎ ინფორმაცია

საზღვარზე სომხეთის მოქალაქე დააჯარიმეს

3 000 ლარის ოდენობით ჯარიმა დაეკისრა სომხეთის მოქალაქე პ.ა.-ს, რომელმაც საქართველოს საბაჟო საზღვარზე დეკლარირების გარეშე 30 000 აშშ დოლარი (66 690 ექვივალენტი ლარში) შემოიტანა. მგზავრი საბაჟო გამშვებ პუნქტზე „სადახლო-საავტომობილო“ სომხეთის მხრიდან შემოვიდა. არადეკლარირებული ფული მებაჟე ოფიცრებმა მისი ბარგის დათვალიერებისას აღმოაჩინეს.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები პასუხისგებაში მისცეს

სახელმწიფო ბიუჯეტისთვის დიდი ოდენობის ზიანისთვის ხორცპროდუქტების იმპორტიორები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

„დადგენილია, რომ ბრალდებულების მიერ, ურთიერთდამოკიდებული, რამდენიმე კომპანიის სახელით, 2013-2015 წლებში საქართველოში იმპორტირებული იქნა 5 773 716 ლარის ღირებულების ხორცპროდუქტები. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები ბოროტად იყენებდნენ საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ საშეღავათო პერიოდს და არ ახორციელებდნენ იმპორტისას დარიცხული იმპორტისა და დამატებითი ღირებულების გადახდას. საერთო ჯამში, ზემოთ ჩამოთვლილი პირების მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს მიადგა 925 442 ლარის ზიანი“, — აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.

სამგორის გამგებლის მანქანას ღამით ცეცხლი წაუკიდეს

სამგორის რაიონის გამგებლის მამუკა ჩოქურის პირად ავტომანქანას წუხელ ცეცხლი გაუჩნდა. წინასწარი ინფორმაციით, მანქანას ცეცხლი უცნობმა პირებმა წაუკიდეს, რომლებმაც შემთხვევის ადგილიდან მიმალვა მოახერხეს.

სამგორის გამგებელი გამოძიების დასრულებამდე მომხდარის შეფასებისგან თავს იკავებს.

დედაქალაქის მერი დავით ნარმანია სამგორის რაიონის გამგებლის მამუკა ჩოქურის ავტომანქანისთვის ცეცხლის წაკიდების ფაქტს გამოეხმაურა.

როგორც დავით ნარმანიამ თბილისის მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, ფაქტი არის ძალიან მძიმე და რთული. მისივე თქმით, დარწმუნებულია, რომ მომხდარზე გამოძიება დამაკმაყოფილებელ შედეგს დადებს.

ამოღებულია დიდი რაოდენობით ნარკოტიკი

სამართალდამცავებმა ე.წ. ბიო ამოიღეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, უწყების ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული ფელიქს მ. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა უკანონოდ შეიძინა და შეინახა 31 ფირფიტა ე.წ. „ბიო“, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 2,2755 გრ ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერება ფენეთილამინის ქიმიურ ნაერთთა კლასს შეიცავს.

სამტრედიის საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესი შეწყდა

სურსათის უვნებლობის სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად, სამტრედიის მეცხრე ბაღში ხორცში ჯანმრთელობისთვის საშიში სალმენოლოზის ნაწლავური ჩხირი აღმოჩნდა. ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, სამტრედიის ყველა ბაღებში სასწავლო პროცესი დროებით შეჩერდა.

როგორც ადგილობრივ ხელისუფლებაში განმარტავენ, სასწავლო პროცესი სავარაუდოდ აღდგომის დღესასწაულების შემდეგ განახლდება, მანამდე კი ყველა სკოლამდელ დაწესებულებაში სადეზინფექციო სამუშაოები მიმდინარეობს.

ჩვენი კარაბადინი

ჭეშმარიტების მარცვალი

ყველაფერი ფინჯანი ყავის შესახებ

ძნელია მონახო ადამიანი, რომელიც სრულიად გულგრილი იქნებოდა ამ ღვთიური სასმელისადმი. რა უნდა ვიცოდეთ ყავის შესახებ, რომ მოვამზადოთ ყველაზე გემრიელი და არომატული სასმელი?

ხარისხი და სახეობა. უწინარეს ყოვლისა, განსაზღვრავენ ყავის გემოს, არომატსა და სიმაგრეს.

არაბიკა

ყავის ყველაზე პოპულარული სახეობაა. გემოთი არის რბილი და ნაზი, ფაქიზი არომატით, მაგრამ კოფეინი მასში ორჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე რობუსტაში. კოფეინის ყველაზე მაღალი შემცველობა არის არაბიკის კოლუმბიურ ხარისხებში.

რობუსტა

ლიდერია კოფეინით, მაგრამ ნაკლებად არომატულია, გემო უფრო ხისტია, მომწარო. რობუსტა უმჯობესია, გამოვიყენოთ ნარევში გემოსი და სიმაგრის „ბუკეტის“ შექმნისთვის. ოპტი-

მალური შეფარდებაა: 20 პროცენტი — რობუსტა, 80 პროცენტი — არაბიკა.

ხსნადი

ყველაზე გამომაფხიზლებლად, საუკეთესო გემოთი და არომატით ითვლება სუბლიმირებული ხსნადი ყავა (მასში ყველაზე მეტია კოფეინი). მეორე ადგილზეა — გრანულირებული, მესამეზე — ფხვნილისა.

მოხალვის ხარისხი. სასმელის გემოზე და მისი მომზადების ხერხის შერჩევაზე გავლენას ახდენს მისი მოხალვის ხარისხიც.

სუსტი

მარცვლების ფერი — მოთეთრო-მოყავისფროა. გემო — მომჟავო, ხშირად მას სვამენ რძესთან ერთად და ამზადებენ კაპუჩინოს. რაში ამზადებენ? — ფილტრყავის სახარშში.

საშუალო

მარცვლის ფერი — ყავისფერი. გემო — მსუბუქი მომწარო. რაში ამზადებენ — ყავის მანქანებში და ფინჯანში.

ძლიერი

გემო — მწკლარტე, ხანგრძლივი გემოთი პირში. რაში ამზადებენ? — ფრენჩ-პრესში, რქისებრ ყავის სახარშში.

დაფქვა. მისი არჩევაც ასევე დამოკიდებულია სასმელის მომზადების ხერხზე. თუ დაფქვილ ყავას ყიდულობთ, მიაქციეთ ყურადღება, თუ რა წერია შეფუთვაზე.

ძალიან წვრილი

რაც უფრო წმინდაა დაფქვა, მით უფრო არომატული და მაგარი გამოდის სასმელი.

საშუალო

გათვალისწინებულია ყავის სახარშისთვის და ყავის მანქანებისთვის.

მსხვილი

არჩევანი მათთვის, ვინც ყავას ფრენჩ-პრესში (ჩაიდანი ბადურით) ან პირდაპირ ფინჯანში ამზადებს.

* * *

ჯანსაღმა ადამიანმა შეიძლება დალიოს 2-3 ფინჯანი ყავა დღეში, მაგრამ სადილამდე. მათთვის კი, ვისაც კუჭის წყლული, მძიმე ჰიპერტონია, გლაუკომია... აწუხებს, ამ სასმელის დალევა რეკომენდებული არ არის.

სასარგებლო თვისებები

უკანასკნელ წლებში მოწყობილმა გამოკვლევებმა კარდინალურად შეცვალეს მეცნიერთა შეხედულებები ყავაზე. თურმე ეს სასმელი:

- წინააღმდეგობას უწევს სიმსუქნეს. კოფეინი სტიმულს აძლევს ჟანგვითს პროცესებს ორგანიზმში, აძლიერებს გლუკოზის დაშლას, ანგრევს კანქვეშა ცხიმს. და კიდევ ყავა გვიცავს მე-2 ტიპის დიაბეტისგან.
- ოქსიდანტები, რომლებსაც ყავა შეიცავს, ამცირებენ კუჭნაწლავთა, ქალებში საშვილოსნოს და მამაკაცებში შარდის ბუშტის კიბოს განვითარების რისკს.
- ასუსტებს ნიკოტინის მოქმედებას. ყავის უძლიერესი ანტიჟანგვითი თვისებები მნიშვნელოვანწილად ანეიტრალებს ნიკოტინის მავნეობას. ფენოლები კი, რომლებიც ყავის შემადგენლობაშია, „აქრობენ“ ანთებით კერებს, ნიკოტინის ზემოქმედებისგან რომ ჩნდება.
- გვიცავს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან. ყავა ათხელებს და აუმჯობესებს სისხლის მიკროცირკულაციას, რაც ამცირებს თრომბების წარმოქმნის რისკს. ხელს უწყობს ზედმეტი სითხის გამოყოფას ორგანიზმიდან.

ЗДОРОВЬЕ

ტესტი

თქვენი განსაკუთრებული ნიჭი

თუ პატიოსნად უპასუხებთ „კი“ ან „არა“ ამ ტესტში დასმულ შეკითხვებზე, ბევრი რამე შეიძლება გაიგოთ საკუთარ თავზე. ყოველ დადებით პასუხზე („კი“) იწერება 1 ქულა, ყოველ უარყოფით პასუხზე („არა“)— 0 ქულა.

1. თხზავთ მოთხრობებს ან ლექსებს?
2. გიყვართ ფანტასტური ისტორიები?
3. თუ გიჩნდებათ ხოლმე სურვილი გადააკეთოთ რაიმე თქვენს გემოვნებაზე?
4. გიყვართ თავსატეხი, უცნაური ფიგურების გამოჭრა ქაღალდისგან?
5. იყენებთ ზოგიერთ თქვენს ნივთს არადანიშნულების მიხედვით?
6. გამოგიგონებიათ როდისმე ახალი სიტყვა?
7. გიყვართ აბსტრაქტული სურათების ხატვა?
8. ხშირად სთხოვთ ხოლმე გარშემომყოფებს აგიხსნან რაიმე გაურკვევლობა?
9. გიყვართ უილუსტრაციო წიგნების კითხვა?
10. თუ გამოიგონებთ ხოლმე საკუთარ თამაშებს ან გართობებს?
11. გახსოვთ ხოლმე საკუთარი სიზმრები?
12. თუ გადააადგილებთ ხოლმე ავეჯს ბინაში თქვენი გემოვნების მიხედვით?
13. თუ იცვლება ხოლმე დროთა განმავლობაში თქვენი მიდრეკილებანი?
14. სიამოვნებით უყვებით ხოლმე ყველას თქვენს თავს გადახდენილ შთაბეჭდილებებს?
15. ადვილად აბათილებთ ხოლმე ხუმრობებს ან გესლიან სიტყვებს თქვენი მისამართით?

შეაჯამეთ დაგროვილი ქულები, შეაფასეთ მიღებული შედეგი

ჯამი 0-დან 3 ქულამდე მეტყველებს იმის შესახებ, რომ ჯერჯერობით არ გყოფნით გამომგონებლობა. თუმცა, თქვენ შეგიძლიათ იყოთ კარგი შემსრულებელი რთულ პროფესიებშიც კი.

თუ შეგროვდა **4-დან 6 ქულამდე**, ეს ნიშნავს იმას, რომ თქვენი შემოქმედებითი აზროვნება ვლინდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გატაცებული ხართ თქვენთვის მნიშვნელოვანი მიზნით, აგრეთვე მიუთითებს იმაზე, რომ თქვენ პრაქტიკული საქმიანობის მეტი უნარი გაქვთ.

ჯამი 7-დან 9 ქულამდე მოწმობს იმის შესახებ, რომ თქვენი მოსაზრებულობა საკმარისია ცოდნის მრავალი დარგისთვის, სადაც არაა სავალდებულო თქვენი საკუთარი შეხედულება საგნებისა და მოვლენებისადმი. მაგრამ შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის თქვენ, სამწუხაროდ, ბევრი რამ არ გყოფნით.

ჯამი 10-დან 12 ქულამდე შეიძლება მეტყველებდეს იმის შესახებ, რომ თქვენ ყოველთვის არ ავლენთ თქვენს უნარს და რომ თქვენ ხართ საზრიანი ადამიანი, მხოლოდ როდესაც რაღაცით ხართ დაინტერესებული.

ჯამი კი 13-დან 16 ქულამდე ნიშნავს, რომ თქვენ ძალიან მოსაზრებული ადამიანი ბრძანდებით, გაქვთ უნარი გქონდეთ საკუთარი აზრი ყველაფერზე, რაც თქვენს გარშემო ხდება და, როგორც ჩანს, გაქვთ მრავალმხრივი ნიჭი.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

ცინცხალი ანეკდოტები

რაც მეტ ხანს იცხოვრებ, მით უფრო მეტად დაბერდები.

* * *

აფთიაქებში ახალი აღმგზნები საშუალება გამოჩნდა „ვიაგრა-ლაითი“ — მის შემდეგ კაცს მხოლოდ კოცნაობის სურვილი უჩნდება.

* * *

ცოლში ქვეყნის სიბრძნეა, ლუდში — ძალა, წყალში კი მიკრობები!

* * *

თქვენი ხილვა, გეთაყვა, ერთი სიამოვნებაა, თქვენი არხილვა კი — მეორე!

* * *

ავტობუსს ცოლმა რომ უღალატოს, ტროლეიბუსი გახდება.

* * *

თუკი დილით ქუჩაში გაგეღვიძათ, მაშასადამე, წინა ღამით იქ დაგიძინიათ.

* * *

თუკი არსებობს სექს-ბომბები, წესით სადღაც სექს-სამალავებიც უნდა იყოს!

* * *

ქალიშვილებო, ნუ გათხოვდებით უცხოელებზე! მხარი დაუჭირეთ სამამულო მწარმოებლებს!

* * *

გრძელი ეხები ფუფუნება კი არა, გადაადგილების საშუალებაა.

* * *

არაყი როცა მთავრდება, მისაყოლებელი ჩვეულებრივ საჭმელად გადაიქცევა ხოლმე.

* * *

განა რა შეიძლება იყოს მთებზე უკეთესი? მხოლოდ მთიელები!

* * *

სპორტული ტანი გქონდეს ქალს, აშკარად უკეთესია, ვიდრე სპორტული სახე.

* * *

— მიწა — გლეხობას, ქარხნები — მუშებს, მე კი, შენი ჭირიმე, ერთი ლუდი ჩამომისხი!

* * *

ყველა პიპეტკას ოცნებაა, რომ გაიზრდება ოყნა გამოვიდეს.

* * *

თუკი პირველსავე ჯერზე არაფერი გამოგივიდათ, ესე იგი საპარაშუტო სპორტი სათქვენო საქმე არ ყოფილა!

* * *

ქალები ცხოვრებაში ყველაფრის მაქნისები არიან, მამაკაცები — ყველაფერი დანარჩენის ჩამდენები...

* * *

აბრა მისაღებში:
ჩუმად შემოდი, ცოტა ითხოვე, ჩქარა წადი.

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24